საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 16 ნოემბერი. 2023 წ. №128 (9660) ელ.ფოსტა:

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბუტ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



...სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

17 ნოემბერი გალაკტიონ ტაბიძის დღეა

ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს

შენ შუბლს იხსნი და სიბნელეს ლეწავ,
საქართველოს მოღრუბლულო ზეცავ...
ნეტავ მალე აღმობრწყინდეს მნათი,
მალე სხივი მოეფინოს ნეტავ!

წინ მიიწევ და ხმაურობ, გღვიძავს,
საქართველოს სევდიანო მიწავ,
ნეტავ მალე დაამსხვრევდე ბორკილს,
ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს!..

1954

ინესა მერაბიშვილი:

გალაკტიონის ფენომენი

იხ. 7 გვ.

„ცალ ფეხზე მდგარი" ოპოზიციის „გასახარად"



ვინ იქნება

საქართველოში 2024 წლის არჩევნების დირიჟორი?

3

ბიძინა ივანიშვილი დაუმარცხებელი ეკონომისტ-ფინანსისტია

იხ. 3 გვ.

სასამართლომ CREDIT SUISSE-ს ივანიშვილის სასარგებლოდ ექსრო ანგარიშზე 750 მილიონის დადება დაავალა

საქართველომ ფოთიდან სომხეთისკენ ფრანგული სამხედრო ტვირთი გაატარა!

ეს აბსოლუტურად სამართლიანი, სტრატეგიული ნაბიჯია!

5

მეგრული და სვანური ენები ონლაინ

9

ფინანსური ნოვაცია

აჯობებს კრიპტოვალუტას ციფრული ლარი?

6

მედიცინის უცნაურობები

ადამიანს თვალის კაკალი გადაუნერგეს

9

ორი საშვილოსნო და ორივე განაყოფიერებული...

ნუგზარ ბ. რუხაძე:

ევროპელ ებრაელთა გენოციდი – ჰოლოკოსტი

8

ინვესტორთა საბჭოს სხდომა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში ინვესტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, საბჭოს სხდომაზე, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მისიის უფროსის მოადგილე კლერ ოლბლესი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონული დირექტორი კავკასიაში ალკის ვრენიოს დრაკინოსი.

სხდომის მონაწილეებს ინვესტორთა საბჭოს მდივანმა გიორგი ჩერქეზიშვილმა რომ-გორც წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების, ისე, ზოგადად, საბჭოს საქმიანობის დინამიკის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ყურადღება გამახვილდა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით რეკომენდაციაზე.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ისტორიულია და ქვეყანას ახალ შესაძლებლობებს აძლევს. სხდომის მონაწილეებმა ევროინტეგრაციის გზაზე მიმდინარე რეფორმებში ინვესტორთა საბჭოს ჩართულობაზე იმსჯელეს.

სხდომის მონაწილეებმა ასევე განიხილეს მეწარმეთა შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, მათ შორის ბიზნესის ხელახალი რეგისტრაციის გადავადების საკითხი. პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ხელახალი რეგისტრაცია გადავადდება და აღნიშნულ საკითხზე მთავრობა და პარლამენტი აქტიურად იმუშავებს. სხდომაზე ასევე განიხილეს ქართული პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯები და იმსჯელეს ახალი ფინანსური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობის საკითხებზე.

განსახილველ საკითხებს შორის ასევე იყო ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეული პროგრესი და ის მსხვილი ეკონომიკური პროექტები, რომლებზეც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით მთავრობის ეკონომიკური გუნდი აქტიურად მუშაობს.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი თბილისში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ პია კაუმას შეხვდა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, მთავრობის მეთაურმა პია კაუმას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად არჩევა მიულოცა და დაუდასტურა საქართველოს სურვილი, გაგრძელოს ნაყოფიერი თანამშრომლობა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეასთან.

„საუბარი შეეხო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გამჭვირვალე, თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროპის საუკეთესო დემოკრატიული პრაქტიკის შესაბამისად.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო მზადაა, უზრუნველყოს არჩევნების მონიტორინგი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინსტიტუტის, მათ შორის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლების მიერ“, – აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, შეხვედრაზე საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკომისიის რეკომენდაციაზე ისაუბრეს.

„პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა აღნიშნული რეკომენდაციის ისტორიულ მნიშვნელობას.

განიხილეს რეგიონში არსებული ვითარება. როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველომ უკვე გადადგა ნაბიჯები მეზობლებს შორის კომუნიკაციისა და რეგიონში სტაბილურობის ხელშეწყობის მიმართულებით და კვლავ რჩება ერთგული, წვლილი შეიტანოს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. მთავრობის მეთაურმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ეუთოს რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დათმობილი ყურადღებისათვის“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

ირაკლი კობახიძე: ხუთი პროცენტის მიღებას სჭირდება 95 ათასი ხმა, როცა ვერ იღებ ამ ხმებს, ეს ნიშნავს, რომ პარტია არ ხარ!

თავის დროზე გარიერთან დაკავშირებით ჩვენი დაპირება როცა გაიცა 2022 წელს, ის უკავშირდებოდა 2022 წლის დეკემბერში საბჭოს მიერ შესაძლო გადაწყვეტილებას, თუმცა მაშინ ევროპულ საბჭოს საერთოდ არ უმსჯელია საქართველოსთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე, დღის წესრიგიდან ეს დაპირება ავტომატურად მოიხსნა!

კობახიძის განცხადებით, მან 2022 წლის ოქტომბერში გააკეთა განცხადება, რომ გარიერის დაწევის საკითხზე დაპირება ანულირებული იყო.

„2022 წლის ივლისში გაიცა დაპირება 2022 წლის დეკემბერთან დაკავშირებით, მის მერე ოპოზიციამ ერთი წელი ყველაფერი გამოიყენა, რომ ეს რადიკალური დღის წესრიგი გაეგრძელებინა, შესაბამისად, ეს დაპირება დღის წესრიგიდან მოხსნილია, რომელიც უკავშირდებოდა 2022 წლის დეკემბერში მისაღებ გადაწყვეტილებას. ასევე, მინდა, შეგახსენოთ, 2022 წლის 12 ოქტომბერს უკვე ცნობილი გახდა, რომ დეკემბერში ევროპული საბჭო აღარ იმსჯელებდა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. ამის შემდეგ, 18 ოქტომბერს მე ბრიფინგზე უკვე დავაფიქსირე, რომ არავითარი ვალდებულება და დაპირება აღარ არსებობდა. მე დავაფიქსირე, რომ ეს დაპირება იყო ანულირებული“, – განაცხადა **კობახიძემ.**

„შეხედეთ სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, ყველა პარტია არის ხუთ პროცენტს ქვემოთ, აქედან გამომდინარე, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ შევიდნენ პარლამენტში და ეს არის სუბიექტური ინტერესი. ხუთი პროცენტის მიღებას სჭირდება დაახლოებით 95 ათასი ხმა, როდესაც ვერ იღებ ამ ხმებს, ეს ნიშნავს, რომ პარტია არ ხარ, როგორიცაა „ლელო“, „გირჩი“, გახარია და. ა.შ, სინამდვილეში არც ერთი პოლიტიკური პარტია არ არის, არის რამდენიმე ამბიციური ადამიანისგან შემდგარი კლუბი და სწორედ ამიტომ ვერ იღებენ ხმათა ხუთ პროცენტს. ასეთი პარტიებისთვის გარიერის დაწევა არ იქნებოდა რაციონალური და არც ვაპირებთ ამ საკითხის განხილვას“...

მამუკა მდინარაძე: საპატიმრო ისეთივე პოლიტპატიმარია, როგორც FARA არის რუსული კანონი

გოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე ქეისი იყო, რომელზეც შეიძლება, თავისუფლად ითქვას, რომ იყო საუკუნის აფიორა. ერთი – ე.წ. რუსული კანონი, როცა FARA პირდაპირ თარგმანს რუსული კანონი დაერქვა, მეორე ადგილზე შეიძლება, გავიდეს – მიხეილ სააკაშვილი „კვდება“, – ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი ისეთივე პოლიტპატიმარია, როგორც FARA არის რუსული კანონი.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე ქეისი იყო, რომელზეც შეიძლება, თავისუფლად ითქვას, რომ იყო საუკუნის აფიორა. ერთი იყო ე.წ. რუსული კანონი, როცა FARA-ს პირდაპირ თარგმანს რუსული კანონი დაერქვა. მეორე ადგილზე შეიძლება, გავიდეს – მიხეილ სააკაშვილი „კვდება“. ადამიანი, რომელიც ყოველდღე მძიმდებოდა, ახლა უფრო კარგად არის, ვიდრე მაშინ, როცა დააკავეს. ფეიკგანცხადებები გათვალისწინებული რომ ყოფილიყო, დღეს ევროკომისიის მხრიდან დადებითი შეფასება არ გვექნებოდა. საბედნიეროდ, სიმართლე ყოველთვის ბოლოს იმარჯვებს და ასეთი ფეიკნარატივები თავს ვერ იჭერს ხოლმე. მით უმეტეს, საზოგადოებაზე არ მოქმედებს იმის მიუხედავად, რომ ძალიან ცდილობენ, ეს ყველაფერი საერთაშორისო თანამეგობრობას თავს მოახვიონ. ეს ყველაფერი ქართველ საზოგადოებაზე კიდევ უფრო ნაკლებად მოქმედებს. მიხეილ სააკაშვილი ისეთივე პოლიტპატიმარია, როგორც FARA არის რუსული კანონი“, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

დეპუტატებისთვის ხელფასების გაზრდა გარანტირებულია!

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისთვის ხელფასების გაზრდას პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა. ხელფასების გაზრდას 85-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი კი არცერთი დეპუტატი არ იყო. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა პირველ ნოემბერს დააინიცირა რეგლამენტში ცვლილების პროექტი, რომლითაც მომდევნო მოწვევის პარლამენტის დეპუტატებისთვის ხელფასების გაზრდაა გათვალისწინებული. ცვლილებები 2025 წლის პირველი იანვრიდან მომდევნო მოწვევის პარლამენტის წევრებისთვის ამოქმედდება.

როგორც პარლამენტში გუშინდელ მოსმენაზე გახდა ცნობილი, კანონპროექტში პარლამენტარების ხელფასები არა კონკრეტული თანხით, არამედ კოეფიციენტებით იქნება წარმოდგენილი.

„კანონით დადგენილი კოეფიციენტის მაქსიმალური ზღვარი 8-დან 10-მდეა, ხოლო პარლამენტის წევრების ხელფასებთან დაკავშირებით 7-დან 8.5-მდე წესდება, რითაც კოეფიციენტების ზღვართან მიახლოება 85%-ით ხდება“, – აღნიშნა **პაპუაშვილმა.**

კანონპროექტის პირველ ვარიანტში დაკონკრეტებული იყო ხელფასები: პარლამენტის თავმჯდომარეს – 10 000 ლარი; პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს – 9 500 ლარი; პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს – 9 250 ლარი; კომიტეტის თავმჯდომარეს, ფრაქციის თავმჯდომარეს – 9 000 ლარი; კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ფრაქციის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს – 8 750 ლარი; კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს – 8 500 ლარი; პარლამენტის წევრს, რომელიც არ არის პარლამენტის თანამდებობის პირი – 8 250 ლარი. ამასთან, მომავალი წლიდან პარლამენტის ყოფილი დეპუტატების პენსიის ზედა ზღვარი 560-დან 1000 ლარამდე გაიზრდება.

ბიძინა ივანიშვილი დაუმარცხებელი ეკონომისტ-ფინანსისტია

სასამართლომ CREDIT SUISSE-ს ივანიშვილის სასარგებლოდ ექსრო ანგარიშზე 750 მილიონის დადება დაავალა

სინგაპურის საერთაშორისო კომერციულმა სასამართლომ (SICC) რამდენიმე დღის წინ მიღებული განაჩენით, CREDIT SUISSE-ის სინგაპურულ სატრასტო შვილობილს ბიძინა ივანიშვილის სასარგებლოდ 750 მილიონი დოლარის ექსრო ანგარიშზე განთავსება დაავალა.

აღნიშნული თანხა ექსრო სადეპოზიტო ანგარიშზე იქნება იქამდე, სანამ ივანიშვილის დავაზე საგოლოო განაჩენი არ გამოცხადდება. ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, თუკი კომპანია განაჩენით განსაზღვრულ თანხას ანგარიშზე არ განათავსებს, მაშინ დაუყოვნებელი აღსრულების პროცედურა დაიწყება.

ივანიშვილის და Credit Suisse-ის დავა თაღლითურ ტრანზაქციებს უკავშირდება, რომლებშიც Credit Suisse-ის სინგაპურის ოფისიც იყო ჩართული. აღნიშნული ტრანზაქციები მილიარდერის ყოფილმა პირადმა განკირმა **პატრიკ ლესკადრონმა** ივანიშვილის ავტორიზაციის გარეშე განახორციელა, რითიც ოლიგარქის ქონებას მრავალმილიონიანი ზარალი მიაყენა.

ივანიშვილისთვის მიკუთვნებული კომპენსაცია მოიცავს, როგორც პირადი განკირის თაღლითობით დაკარგულ თანხებს, ასევე იმ მიუღებელ შემოსავალს, რომელსაც ივანიშვილი ამ აქტივების პირნათლად მართვის შემთხვევაში მიიღებდა.

სინგაპური არაა ერთადერთი იურისდიქცია, სადაც თაღლითობის საქმესთან მიმართებით სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა. 2022 წლის მარტში გერმუდის სასამართლომ CREDIT SUISSE-ის გერმუდულ შვილობილს ივანიშვილის სასარგებლოდ 607 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

ვერდიქტში მოსამართლე მიუთითებს, რომ Credit Suisse-ი პასუხისმგებელია პირადი განკირის მიერ განხორციელებულ თაღლითურ ქმედებებზე და ვალდებულია კლიენტს მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს. 2018 წელს პატრიკ ლესკადრონს ჩადენილი ფინანსური სამართალდარღვევების გამო 5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, ის აღნიშნული დროისთვის უკვე იხდიდა წინასწარ პატიმრობას, რადგანაც 2015 წლის ბოლოს დააპატიმრეს. 2020 წლის ზაფხულში ლესკადრონმა თავი მოიკლა.

თავად Credit Suisse-ი 2023 წლის 19 მარტიდან დამოუკიდებელი სახით აღარ არსებობს, რადგანაც მან ფაქტობრივი კოლაფსი განიცადა. ამჟამად განკის აქტივები და ვალდებულებები UBi-ის შემადგენლობაში შედის, რომელმაც ეს უკანასკნელი 3 მილიარდ შვეიცარიულ ფრანკად შეიძინა. შესაბამისად, ივანიშვილის კომპენსაციის მომსახურებაც საბოლოოდ UBS-ს მოუწევს.

ვინ იქნება საქართველოში 2024 წლის არჩევნების დირიჟორი?

მას შემდეგ, რაც საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭების რეკომენდაციის დამატებით დათქმებში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მოთხოვნა ვიხილეთ, ბევრს, ალბათ, გაუჩნდებოდა კითხვა – რატომ?

ამ კითხვას ნამდვილად აქვს არსებობის უფლება, რადგან დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, თუ რატომ გაჩნდა ეს რეკომენდაცია და რაოდენ დიდი მოლოდინები აქვს დასავლეთს ამ არჩევნებიდან, რომლისგანაც მისთვის სასურველ შედეგს ელოდება. ეს სასურველი შედეგი კი, რომელსაც დიდად არც მალავენ, მრავალპარტიული პარლამენტის და კოალიციური მთავრობის ფორმირებაა, თან ისეთის, რომელიც დასავლეთის ნება-სურვილების უსიტყვო შემსრულებელი იქნება.

რა თქმა უნდა, ევროკომისიას შეეძლო არ მოეცა რეკომენდაცია სტატუსზე და თავისი მეორე უარით ქვეყანაში საპროტესტო აქციები გამოეწვია, ისე როგორც 2022 წელს, იმის იმედით, რომ ოპოზიცია ამჯერად მაინც მოახერხებდა ხელისუფლების შეცვლას. რამდენიმე ცნობილ ოპოზიციონერს წამოსცდა კიდეც, რომ 2022-ში სტატუსის არმოცემით ევროკავშირმა საქართველოში ხელოვნური პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია, მაგრამ ოპოზიციამ ეს შანსი ვერ გამოიყენაო.

ამჯერად ევროკავშირში ვითარების შეფასების შემდეგ, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ დისკრედიტირებული ოპოზიცია, რომელსაც ხელისუფლება სტატუსის არმიღებას გადააბრალებდა, ვერც ხალხის კრიტიკულ მასას ვერ გამოიყვანდა ქუჩაში და ვერც ხელისუფლებას დაამხობდა. ამიტომაც არჩევანი მეორე ვარიანტზე გაკეთდა - სტატუსი მკაცრი დათქმებით, რაც პრინციპში იყო კიდეც ოპოზიციის სურვილი, როდესაც საბოტაჟი სტატუსის გადადების მოთხოვნით, ჩაუვარდათ. ევროკავშირში საქართველოსთან მიმართებაში „რეალ-პოლიტიკას“ უფრო ითვალისწინებენ ვიდრე ოპოზიციის ცრემლებს. მათ ძალიან კარგად იციან, რასაც წარმოადგენს ამჟამინდელი რადიკალური ოპოზიცია, მაგრამ სხვა დასაყრდენი ქვეყანაში ჯერ არ ეგულებათ.

სტატუსის მონიჭების ახალ დათქმებში, სადაც 2024 წელს საპარლამენტო არჩევნებია ერთ-ერთი მთავარი, იკვეთება მომავალ წელს სავარაუდო პოლიტიკური სცენარის კონტურები. თუკი ევროკავშირი და აშშ დაინახავენ, რომ არჩევნების შედეგები მათ ინტერესებს არ ემთხვევა, იტყვიან რომ არჩევნები არ იყო თავისუფალი და შესაბამისად, – არალეგიტიმურია. ამის საფუძველზე ოპოზიციას და მის მხარდამჭერებს ეძლევათ ლეგიტიმური საფუძველი, დაიწყონ ქუჩის პროტესტი. არჩევნების „გაყალბებაში“ ბრალდებული“ ხელისუფლება კი კარგავს ლეგიტიმურობას და მისი დამხობა უკვე დროის ამბავი ხდება.

ევროკავშირის დამატებით დათქმა-რეკომენდაციებში არჩევნების გარდა, არის ისეთი მოთხოვნებიც, რომლებიც ოპოზიციისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნისკენ არის მიმართული.

მაგალითად, ოპოზიცია და მისი სატელიტი ენჯეოები, როგორც მაშველ რგოლს, ისე ჩამოეკიდნენ საარჩევნო სისტემის ყოვლისმომცველ რეფორმის რეკომენდაციას და უკვე აქტიურად დაიწყეს 5%-ანი საარჩევნო ბარიერის დაწევის მოთხოვნა, რაც „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტ მცირე პარტიებს მეტ შანსებს აძლევს პარლამენტში მოხვდნენ. შემდეგი მოთხოვნა, ალბათ, ცესკოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის შეცვლა იქნება. მათი მოთხოვნები, დიდი ალბათობით, მხარდაჭერილი იქნება დასავლეთის მიერ, რადგანაც ევროკავშირში არსებობს მოლოდინი, რომ ხელისუფლება საარჩევნო ბარიერს 2%-მდე დაწევს, რაც მრავალპარტიულ პარლამენტს ნიშნავს. ასეთი პარლამენტი გვაქვს დღეს და ყველა ხედავს, თუ რა მიზნით იყენებს საპარლამენტო ბერკეტებს ოპოზიცია. თუ ხელისუფლებამ ბარიერი არ დასწია, ეს კიდევ ერთი საბაბი იქნება დასავლეთისთვის, რომ არჩევნები უარყოფითად შეაფასოს.

თუ ამას დავუმატებთ არჩევნებზე აშშ-ის და ევროპის უპრეცედენტოდ მრავალრიცხოვანი გრძელვადიანი დამკვირვებლების ყოფნას, რაც ევროკავშირის ელჩმაც დაადასტურა, სრულიად შესაძლებელია, რომ მათ მიერ წინასაარჩევნო გარემო უარყოფითად შეფასდეს და ამან საბოლოო შეფასებაზე იქონიოს ზეგავლენა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ არჩევნებში საერთაშორისო დონორების მიერ ჩაიდება კიდევ უფრო მეტი ფული ოპოზიციასთან აფილირებული ენჯეოების და მედია საშუალებების გასაძლიერებლად. დაფინანსდება უამრავი მოდელირებული სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლებიც დახატავენ დასავლეთის ხელებში შემყურე ოპოზიციისთვის სასურველ სურათს. პრინციპში, ფულის ინვესტირება უკვე მიმდინარეობს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ტრენინგებში და ახალგაზრდების სამობილიზაციო ღონისძიებებში. არჩევნებამდე ეს რესურსი ბოლომდე იქნება ათვისებული.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება, ამერიკულისგან განსხვავებით, მოკლებულია შესაძლებლობას, ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ სად, როგორ და ვისზე იხარჯება ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის გარედან მიცემული ფული.

ისევ ამერიკული „FARA“-ს წყალობით თუ ვიგებთ ხოლმე, რა უზომოდ დიდი თანხები იხარჯება იმ საინფორმაციო კამპანიაზე, რომლის მიზანი ხელისუფლების და ქვეყნის იმიჯის დაზიანებაა, ოპოზიციური პარტიების და მათთან აფილირებული ჯგუფების ვიწროპოლიტიკური და პარტიული მიზნების მისაღწევად.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ 2024 წლის არჩევნებზე ოპოზიციას და მის სატელიტებს, ძირითადად, გარედან მხარდაჭერის იმედი აქვთ, რადგანაც მათივე სპონსირებულ გამოკითხვებშიც კი მომავალ არჩევნებში გარდაუვალი მარცხი ელოდებათ. შესაბამისად, ისევე როგორც 2020 და 2021 წლების არჩევნების წინ, დასავლეთის მხრიდან მოსალოდნელია ხელისუფლებაზე ძლიერი ზეწოლა, რათა შეაცვლევინონ პოლიტიკური, სამართლებრივი და საარჩევნო გარემო ისე, რომ ხელისუფლება აღმოჩნდეს მაქსიმალურად მოწყვლად მდგომარეობაში. ფაქტობრივად, საუბარია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კონტროლის ბერკეტების ხელში ჩაგდებაზე. ხოლო, არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადება, ალბათ, იქნება უკიდურესი ვარიანტი, თუ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც გეგმავენ.

დავიტოვოთ იმედი, რომ 15 დეკემბერს, ევროპული საბჭო კანდიდატის სტატუსზე საბოლოოდ დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს და რაიმე მწარე სიურპრიზს ადგილი არ ექნება. თუ სტატუსზე უარი გვითხრეს, ხელისუფლებას არჩევნების არაღიარების საფრთხის წინაშე, შეიძლება, მაინც მოუწიოს რეკომენდაციების თუნდაც ნაწილობრივ შესრულება. სხვათა შორის, ევროპაშიც და აშშ-შიც ახლა გაფაციცებით ელოდებიან დარჩენილ ერთ თვეში როგორ მოიქცევა საქართველოს ხელისუფლება და გააკეთებს თუ არა იმას, თუნდაც სიტყვიერად, რასაც მისგან ელოდებიან.

ამავე დროს, 2024 წელს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ, შესაძლოა, ისეთი გეოპოლიტიკური კონიუნქტურა დადგეს, რომ დასავლეთი იძულებული გახდეს, კვლავ ულმოგელ „რეალ-პოლიტიკას“ გაუწიოს ანგარიში. მეორე მხრივ, რა მასშტაბის გარე ჩარევებიც არ უნდა მოხდეს და რა პოლიტიკური პასეანსებიც არ უნდა დაეწყოს, საზოგადოების იმ ნაწილის კონსოლიდაცია, რომელსაც არ სურს „ცალ ფეხზე დგომა“, იქნება გადამწყვეტი ფაქტორი. გოლო 10 წლის მანძილზე ეს ასე იყო.

ზაალ ანჯაფარიძე

2 წელიწადი რუსთაველის პროსპექტის გარეშე უნდა გავძლოთ!

თბილისი – დანიშნულების ადგილი, რომელიც უნდა აღმოაჩინო!

თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მომავალი წლიდან რუსთაველის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.

პროექტის ფარგლებში, რომელსაც „თბილისის განვითარების ფონდი“ განახორციელებს, პირველ ეტაპზე, არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია მოხდება.

მოლო ეტაპზე, რუსთაველის გამზირზე საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება, სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები კი, სავარაუდოდ, ორ წელი გაგრძელდება.

„შემდეგი ეტაპი იქნება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მიწისქვეშა კომუნიკაციებით. ამ თვალსაზრისით გამზირზე მძიმე მდგომარეობა გვაქვს. ხშირია მიწის ჩავარდნის შემთხვევები, კომუნიკაციების დაზიანების გამო. საგზაო სამუშაოები მოლოს ჩატარდება, როდესაც ფასადების ძირითადი ნაწილი მოწესრიგებული, ხოლო შენობები გამაგრებული იქნება. სარეაბილიტაციო პროექტი ორ წელზე მეტხანს გაგრძელდება, რადგან გვერი შენობა-ნაგებობაა და ამას საგზაო ინფრასტრუქტურაც ემატება“...

კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ დედაქალაქში საახალწლო სამზადისი დაწყებულია და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ თბილისი ახალ წელს კიდევ უფრო ლამაზად და გამორჩეულად შეხვდეს.

„უკვე ტრადიციად იქცა, რომ ჩვენი ულამაზესი დედაქალაქი საახალწლოდ კიდევ უფრო ლამაზი და გამორჩეული იყოს. დედაქალაქში საახალწლო სამზადისი დაწყებულია. შეამჩნევდით, რომ ქუჩები უკვე ირთვება ილუმინაციებით. 30-ზე მეტ ქუჩაზე დამონტაჟდა საახალწლო განათებები და ეს პროცესი გრძელდება. ძალიან მნიშვნელოვანია საახალწლო ღონისძიებები. უამრავი ადამიანი ელოდება ამ დღეებს. რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, წელსაც გვექნება სიახლეები. თბილისის მთავარი გამზირი – რუსთაველი დეკემბრის დასაწყისში მოირთვება ახალი განათებებით და ვფიქრობ, ჩვენს ქალაქს კიდევ უფრო მეტი ვიზიტორი ეყოლება. მოლო წლების განმავლობაში, თბილისი ძალიან საინტერესო გახდა უცხოელი ტურისტებისთვის, განსაკუთრებით საახალწლო დღეებში. ლამაზია საახალწლო სოფელი და ეს ტრადიცია წელსაც გვექნება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა კიდევ უფრო მეტი მნახველი ჰყავდეს ჩვენს ქვეყანას და ქალაქს“...

დედაქალაქი 2024 წელს ახალი მთავარი ნაძვის ხით შეხვდება, ვინაიდან გასულ წელს საახალწლო ნაძვის ხეს ფოიერვერკის გასროლის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა და დაზიანდა.

დედაქალაქის მთავარი ნაძვის ხე 15 დეკემბერს აინთება, 16 დეკემბერს კი „საახალწლო სოფელი“ გაიხსნება.

„საახალწლო სოფელი“ წელს განთავსდება ორგელიანის მოედანსა და დედაენის გაღში. ეს ორი ადგილი იქნება, სადაც საახალწლო დღეებში შეგვეძლება ჩვენი პატარებით მისვლა. შესაგამისი სივრცე მოეწყობა ყველა თაობის ადამიანისთვის. რაც შეეხება გალაკონცერტს, ყველა მსურველს რესპუბლიკის მოედანზე 31 დეკემბერს ვუმასპინძლებთ. გვირდებით, რომ ჩვენი ქალაქი წელს ძალიან ლამაზი იქნება და გვერი ადამიანი ისიამოვნებს“...

გარდა ამისა, მთავრობის სხდომაზე ითქვა, რომ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, საგურთალოს რაიონში, გამრეკელის I შესახვევის №6-ში მდებარე კორპუსის დემონტაჟი იგეგმება.

თბილისის მერის თქმით, იგივე შესყიდვა წლის ბოლომდე ვარკეთილის მე-3 მასივის მე-4 კვარტალში მდებარე №6 კორპუსის ჩანაცვლების მიზნით გამოცხადდება.

„დედაქალაქში ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამა აქტიურად მიმდინარეობს. ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, კერძოდ, მე-7 კვარტლის №12 კორპუსის კედლების მოჩარჩოება დასრულებულია მე-4 სართულამდე, მე-7 სართულზე კი მიმდინარეობს გადახურვის ფილის მოწყობის სამუშაოები. ასევე, მე-3 მასივში, კალოუბნის №18-ში აქტიურ ფაზაშია საძირკვლის მოწყობის სამუშაოები“.

თბილისის მერმა მთავრობის სხდომაზე ილიას ბაღში არსებულ პრობლემურ მდგომარეობაზე და აღნიშნული ტერიტორიის მმართველი კომპანიის მხრიდან ხელშეკრულების უხეშად დარღვევის ფაქტებზეც ისაუბრა.

კახა კალაძის თქმით, მერიაში შემოდის ბაღის მდგომარეობით უკმაყოფილო მოქალაქეების არაერთი წერილი, რომელიც პარკის არასათანადო მოვლა-პატრონობას უკავშირდება.

დედაქალაქის მერმა ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს დარღვევების გამოსწორების მიზნით, პარკის მმართველ კომპანიასთან შეხვედრა და პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომპანიასთან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დაავალა.

„ძალიან ბევრი წერილია შემოსული ილიას ბაღთან დაკავშირებით. ილიას ბაღის ტერიტორია 2011 წლის 7 ივლისს, მართვის უფლებით, 49 წლის ვადით (2060 წლის 7 ივლისამდე) გადაეცა შპს „ბიზნეს ცენტრ მოზაიკას“. ხელშეკრულებაში ჩადებულია ვალდებულება, რომ უნდა მოხდეს ტერიტორიის მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა, რათა ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დასვენების, მავშვების ატრაქციონებზე მიყვანის, ანუ არაფერი განსაკუთრებული. ბაღი სხვა რეკრეაციული სივრცეების მსგავსად უნდა იყოს მოწესრიგებული, თუმცა სახეზე გვაქვს ძალიან დიდი პრობლემა, რაც ძალიან სამწუხაროა და გულდასაწყვეტია. უამრავი წერილი მოდის მოსახლეობიდან და ადამიანებს ჰგონიათ, რომ ეს არის ჩვენი საკუთრება და მერია არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აღნიშნული სივრცე მოაწესრიგოს. მმართველი კომპანია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ვალდებულია, მუდმივად უზრუნველყოს პარკის მოვლა-კეთილმოწყობა, პარკის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების აღდგენა და რეაბილიტაცია, ასევე, გასართობი ატრაქციონების პერიოდულად განახლება და მათი უსაფრთხო ფუნქციონირება“, – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

მუნიციპალიტეტის მხრიდან არაერთი ხელშეწყობის მიუხედავად, ბაღის მმართველი კომპანია სახელშეკრულებო ვალდებულებებს უხეშად არღვევს.

კახა კალაძემ აღნიშნა, რომ საგურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-15 კილომეტრზე, მაღალაძეების ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საფეხმავლო ხიდი მოეწყო.

„აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებობდა ძველი საფეხმავლო ხიდი, რომელიც აბსოლუტურად უსარგებლო და სახიფათო იყო. განხორციელდა ზემოთ ხსენებული ხიდის დემონტაჟი, შენარჩუნდა მხოლოდ ბურჯები, რომელიც გამაგრდა, დამონტაჟდა ლითონის კონსტრუქცია და მოაჯირები; მოეწყო საფეხმავლო ბილიკები და გარე განათების ქსელი LED სანათებით. ასევე, მოწესრიგდა ხიდამდე მისასვლელი გზები. პირველად დაიგო ამ ტერიტორიაზე ასფალტი. დღეს უკვე შესაძლებელია მოსახლეობამ ისარგებლოს უსაფრთხო, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც დედაქალაქში განხორციელდა, სამგორის რაიონში, საცხენისის ქუჩაზე არსებული სვვერის რეაბილიტაციაა. შესაბამისი სამუშაოები ნახევარ ჰექტარ ფართობზე განხორციელდა.

დედაქალაქის მერმა ტურისტული მიმართულებით, თბილისის მიერ მოპოვებულ წარმატებებზეც ისაუბრა. კერძოდ, შვეიცარიის ტურიზმის დაჯილდოებაზე თბილისმა მიიღო სპეციალური ჯილდო ნომინაციაში – **„დანიშნულების ადგილი, რომელიც უნდა აღმოაჩინო“**

მისივე თქმით, მოპოვებული წარმატება ხელს შეუწყობს თბილისის უნიკალური ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას.

გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უმსხვილესი სამოგზაურო მედიაკომპანიის – „ვანდელასთის“ (Wanderlust) მიერ გამართულ ცერემონიაზე **თბილისი ნომინირებულ იქნა „ევროპის ყველაზე სასურველი ქალაქის“ ჯილდოზე.**

„მე, როგორც ამ ქალაქის მერს და ამ ქალაქში მცხოვრებს, ძალიან მიხარია ის ფაქტი, რომ თბილისი ასე წარმატებით ეცნობა მსოფლიოს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქალაქს ბევრი ადამიანი ესტუმრება. ვცდილობთ, ჩვენი ქალაქი იყოს კიდევ უფრო მოწესრიგებული, გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტით“...

ბექა დავითულიანი: თუ რაღაც რეგულაციები არ დაწესდა, ადრე თუ გვიან, ქალაქი „გაჩერდება“

საგოლოოდ გადაწყვეტილია, რომ თბილისში დიდგაბარიტიანი ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება. კანონპროექტი პარლამენტშია. დეპუტატები ინიციატივას იწონებენ და ამიტომ პროექტს დამტკიცებაც არ ასცდება. კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორის, გარემოს დაცვისა და გუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მაია გითაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე, დიდი გაბარიტების მძონე (M3, M2 და M3 კატეგორიების) სატრანსპორტო საშუალებების თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ადგილისა თუ დროის დარღვევით მოძრაობა პირველივე შემთხვევაში გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში – 3000 ლარის ოდენობით.

ასევე, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ადგილის/დროის დარღვევით საქონლის მიწოდება პირველივე შემთხვევაში გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში – 3000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება: საჯარო დაწესებულების სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც გადაადგილდებიან ამ დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის; იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებსაც ლურჯი ან წითელი მოელვარე სპეციალური ციმციმა სიგნალის გამოყენების უფლება აქვთ; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზე, აგრეთვე იმ M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებსაც გადაჰყავთ გავშვები; იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ გაიცემა თანხმობა.

როგორც მაია ბითაძემ აღნიშნა, კანონპროექტის მიღების შედეგად საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე საგზაო მოძრაობა გაუმჯობესდება.

საქართველომ ფოთიდან სომხეთისკენ ფრანგული სამხედრო ტვირთი გაატარა!

ეს აბსოლუტურად სამართლიანი, სტრატეგიული ნაბიჯია!

სომხეთმა, რომელმაც საკუთარი უსაფრთხოების მხოლოდ ერთ ქვეყანაზე „ჩამოკიდებას“ „სტრატეგიული შეცდომა“ უწოდა, საფრანგეთიდან პირველად მიიღო დაპირებული ჯავშანტრანსპორტიორების პირველი პარტია, OUEST-FRANCE-ს ცნობით, მრავალფუნქციური BASTION-ები.

ამ ტრანზიტის კონტექსტში თავდაპირველად აზერბაიჯანულმა გამოცემამ Caliber.Az-მა გაამახვილა ყურადღება საქართველოს ტერიტორის გამოყენების თაობაზე, რომელიც სომხეთ-აზერბაიჯანის დაძაბულ ურთიერთობაში მედიატორის როლით გამოდის და სამშვიდობო შეთანხმებისთვის მათ საკუთარ ტერიტორიას სთავაზობს. კერძოდ, Caliber.Az-ის ცნობით, 12 ნოემბერს ფოთის პორტში შევიდა ფრანგული კომპანია ARQUUS-ის მიერ გაგზავნილი Acmat-ის წარმოების ფრანგული მრავალფუნქციური ჯავშანტექნიკა კომპონენტებითურთ, რომელიც გაემართა საქართველო-სომხეთის საზღვრისკენ. ხოლო შემდეგ "ეიპიემ ტერმინალს ფოთმა" დაადასტურა „რადიო თავისუფლებასთან“ სომხეთისთვის საქართველოს გავლით „კონკრეტული ტვირთის“ მიწოდება:

„კონკრეტულ შემთხვევაში, ტვირთი შემოსულია ევროკავშირის ქვეყნიდან – საფრანგეთიდან და მიმართულია სომხეთში – ქვეყანაში, რომელიც არ არის სანქცირებული. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის მკაფიო მითითებებისა და საერთაშორისო მარეგულირებლების მიერ დაწესებული შეზღუდვების არარსებობის პირობებში, „ეიპიემ ტერმინალს ფოთი“, მრავალმიზნობრივი ნავსადგური საქართველოსა და რეგიონში, მოკლებულია შესაძლებლობას, უსაფუძვლოდ თქვას უარი იმ ტვირთის მიღებაზე, რომელიც არ არის სანქცირებული“.

თემის კომენტირებისას აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტვირთისთვის დათმობილ დერეფანზე აქცენტი არ გაუკეთებია, თუმცა ხისტად გააკრიტიკა მიმწოდებელი.

ცხადია, ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც სამხედრო დანიშნულების ტვირთის ტრანზიტისთვის (როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის მიმართულებით) გამოიყენება საქართველოს ტერიტორია. ამ შემთხვევაში ტექნიკური უწყება, რომელიც ტვირთის გატარებაზე გასცემს ნებართვას, თავდაცვის სამინისტროა და როგორც **„აქცენტთან“** ვითარებაში გარკვეული სპეციალისტები განმარტავენ, საქართველოს საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებაა, განსაკუთრებით კონფლიქტის დროს არ დაუშვას დისბალანსი, ამიტომ, თანაბრად გასცემს ნებართვებს როგორც აზერბაიჯანული, ისე სომხური მხარისთვის.

ამასთან, ვინაიდან 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს რუსული შეიარაღებისთვის ცა და ხმელეთი ჩაკეტილი აქვს, ხოლო სომხეთში რუსული სამხედრო ბაზაა განთავსებული, განსხვავებით ყველა სხვა ქვეყნისგან, სომხეთის ხელისუფლებასთან ოფიციალურ თბილისს აქვს სპეციფიკური შეთანხმება: საქართველოს სამხედრო ატაშე უფლებამოსილია, დახვდეს ტვირთს, რომელიც საქართველოს გავლით ჩავა სომხეთში და გაჰყვეს მას საბოლოო დანიშნულების წერტილამდე, რათა ის რუსულ სამხედრო ბაზაზე არ მოხვდეს. ამ პრინციპებით იცავდა საქართველო ათწლეულების განმავლობაში თავის ნეიტრალურ პოზიციას ორ მეზობელთან მიმართებით კონფლიქტის აქტიურ ფაზების დროსაც კი.

ამგვარ აქტივობაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავს სამხედრო ექსპერტი **გიორგი თავდგირიძეც** და არც იმას ფიქრობს, რომ ეს რამენაირად აყენებს ჩრდილს საქართველოს პოზიციონირებას რამდენიმე გარემოების გათვალისწინებით:

● „როდესაც კონფლიქტის აქტიური ფაზა არაა და არც აქტიური სამზადისი შეიმჩნევა, „დერეფანს არ მოგცემთ“, „ტვირთს არ გავატარებთ“, ამგვარი აქტივობა, არ არის სწორი და ასე არც ხდება ხოლმე: ეკონომიკა და სატრანსპორტო გადაზიდვები გლობალური თემებია, რომელიც თავისუფლებით ხასიათდება. შესაბამისად, საქართველოს ამ შემთხვევაში ვერავინ დაადანაშაულებს, რომ რაიმე ტვირთი გაატარა, თუნდაც სამხედრო დანიშნულების;

● აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმების მონაწილეები ვართ, ინსპექტირებაც ხორციელდება, მათ შორის, ჩვენს ტერიტორიაზეც - სამხედრო ნაწილების განლაგებაზე, რაოდენობაზე, შეიარაღებაზე და ეს აშკაარდ იმგვარი ინფორმაციებია, რომელიც ვერიფიკაციას ექვემდებარება;

● სამივე სახელმწიფოს სწორედ დერეფნის ფუნქცია გვექნება – ასეა გეოგრაფიულად. ცხადია, ჟურნალისტების „აზერბაიჯანელი“ მხრიდან შესაძლოა, გამახვილდეს ყურადღება – ფრანგებზე გაღიზიანებულები არიან, რადგან სომხეთს ლობირებას უწევს, სისხლია დაღვრილი, ოკუპირებული იყო ტერიტორია, ემოცია არსებობს და ამ ემოციაზე ქულების დაწერის ცდუნებაც, ალბათ, ეჭვებიც და გაკეთდება აქცენტი, „საფრანგეთი საქართველოს გავლით აწვდის ტვირთსო“, მაგრამ ისიც უნდა გაიხსენონ, რომ თურქეთი იგივე საქართველოს გავლით მათაც შესაძლოა აწვდიდეს იარაღს და აქ ახალი არაფერია. ამას თავისი პროცედურები აქვს და ეს ხორციელდება“, – ამბობს **„აქცენტთან“ თავდგირიძე.**

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ამ ორ მეზობელთან მიმართებით ფრთხილი პოზიციის მქონე ქვეყანაა, და არც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იძლევა თავისი მოქმედებების ლოგიკით ფიქრის საშუალებას, რომ რაღაც ავანტიურისტული ჩაიფიქრა“, „სამოქალაქო იდეის“ მკვლევარი **გიორგი შაიშმელაშვილი** ვარაუდობს, რომ ტვირთის გატარებაზე თანხმობა „დიდი შეთანხმების და თანხმობის ნაწილი იყო, მათ შორის დასავლელ პარტნიორებთან დიალოგის“.

„თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ იყო მოლაპარაკებები, მათ შორის ფრანგებთან. ცხადია, შეთანხმების გარეშე ტვირთი ვერანაირად გაივლიდა, რადგან რამდენადაც სომეხი კოლეგებისგან ვიცი, რიგ ტვირთებზე თანხმობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ელოდნენ“, – ამბობს **„აქცენტთან“ შაიშმელაშვილი** და განაგრძობს, **„თუ უფრო დიდ სურათში შევხედავთ კონკრეტულ საკითხს და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტი დამთავრდა (იმედი მაქვს, სხვა მიმართულებით ეს კონფლიქტი შეიარაღებული დაპირისპირების ფორმას არ მიიღებს – ქვეყნები მიაღწევენ მშვიდობიან შეთანხმებას), ამ ფონზე სომხეთში უსაფრთხოების გარანტიების საკუთარი შესაძლებლობებით დასავლეთიდან მიღება არ მგონია, რომ არსებითად ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის ინტერესებსაც“.**

შაიშმელაშვილი კიდევ უფრო ფართო კონტექსტზე ამახვილებს ყურადღებას და ამ შესყიდვას საგარეო პოლიტიკური არჩევანის კონტექსტში განიხილავს:

„საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებთ კარგად სომხეთში მიმდინარე პროცესებს: აშკარად იცვლება სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსი და იცვლება დასავლეთისკენ. ევროპული იარაღი არ ნიშნავს ახალ ომს, ეს ნიშნავს დასავლური ჩართულობის გაზრდას იმ დროს, როცა კონფლიქტის ცხელი კერები არ არსებობს. ცხელი კერების არსებობის შემთხვევაში ალბათ, ჩვენც მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენდით“.

ამდენად, შაიშმელაშვილი ფიქრობს, რომ ეს უფრო პოლიტიკის და „სტრატეგიის ნაბიჯია საქართველოს მხრიდან და სწორიც, ვიდრე კონფრონტაციული ტონისთვის ხელის შეწყობა ან გადახვევა მანამდე არჩეული მედიატორის როლისგან“.

და ბოლოს, მკვლევარი, განსხვავებით უკრაინაში რუსეთის შეჭრამდელი მოცემულობისა, როდესაც მისი დაკვირვებით, რეგიონში დასავლეთის წარმოდგენილობა სუსტდებოდა, სურათის ცვლილების თაობაზე ოპტიმიზმს ინარჩუნებს და არგუმენტად მოჰყავს სხვა ინდიკატორებიც, მათ შორის, ევროკავშირის გადაწყვეტილება, გაზარდოს მისია სომხეთში; სომხეთის მცდელობა, დაუბრუნდეს მოლაპარაკებების მაგიდას ასოცირების კონტექსტში, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ევროკავშირის ბიუროკრატია მისცემს; ხოლო ევროპული მაზრების მიმართ საკუთარი გაზისა და ნავთობისთვის აზერბაიჯანის გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით, „სომხეთის დასავლეთისკენ „შეტრიალება“ ბაქოსთვისაც უნდა იყოს მნიშვნელოვანი“. „რაც მთავარია, ეს ხდება რუსული პოზიციების შემცირების ხარჯზე, რაც როგორც საქართველოს, ისე სომხეთის და აზერბაიჯანის ინტერესებშიცაა!“ – აჯამებს მკვლევარი.

დიდგაბარიტიანი ტრანსპორტი იზღუდება!

„შეზღუდვების განხორციელების პირობებში დიდი გაბარიტების მქონე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების წილი სატრანსპორტო საშუალებების მთლიან რაოდენობაში პიკის საათებში შემცირდება, რაც შექმნის ე.წ. საცობების განტვირთვის შესაძლებლობას“, – განაცხადა **მაია გითაძემ.**

2012-13 წლებში, საქართველოში, თბილისში 400 ათასი მანქანა დადიოდა, დღეის მონაცემებით, ქალაქში ყოველდღიურად 650 ათასზე მეტი მანქანა გადაადგილდება. ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, საცობი არის და ეს ტენდენცია მზარდია, ქალაქში ავტომობილების რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს.

დეპუტატ **გექა დავითულიანის** განცხადებით, თუ რაღაც რეგულაციები არ დაწესდა, ადრე თუ გვიან ქალაქი „გაჩერდება“.

„იქნება გამონაბოლქვი, მოძრაობა შენელდება და საბოლოო ჯამში, შენელდება ეკონომიკაც, აღნიშნული რეგულაციებით ვცდილობთ, რომ საცობები არ იყოს ისეთი რთული და ძნელად გადასატანი, როგორც დღეს უკვე არის. რეგულაციებით შევძლებთ, რომ ბეტონის მანქანამ, შუადღის საცობში არ იაროს ზუსტად იქ, სადაც ყველაზე დიდი საცობია – თუ სპეცნებართვა არ იქნება გაცემული მუნიციპალიტეტისგან“, – დასძინა მან.

დავითულიანის განცხადებით, საქართველოში ჩამოსულმა უცხოელმა ექსპერტებმა გაწერეს გეგმა, რომლის მიხედვითაც ნელ-ნელა უნდა დაწესებულიყო შეზღუდვები და აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ქვეითებზე, შემდეგ ეკომეგობრულ ტრანსპორტზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ბოლოს ავტომობილებზე.

„ჩვენს პოლიტიკოსებს გზების გაფართოება და ინფრასტრუქტურის შეცვლა ერთ-ერთი მთავარი გამოსავალი ეგონათ, თუმცა, გვყავდა ბევრი სპეციალისტი, რომელსაც მეგაპოლისში უმუშავია და თქვეს, რომ ეს არის დაღუპვის გზა – ინფრასტრუქტურის შეცვლის შემდეგ დიდი გზები იჭედება, შესაბამისად, დაგვიწერეს გეგმა, რომ ნელ-ნელა აქცენტი უნდა გაკეთდეს ქვეითებზე, შემდეგ ეკომეგობრულ ტრანსპორტზე საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და უკანასკნელია აქ ავტომობილი.

ჩვენ ვიცით, რომ ამ შეზღუდვებით კერძო ავტომობილებს დისკომფორტს ვუქმნით, რათა საზოგადოებრივ ტრანსპორტს შევუქმნათ უკეთესი პირობა და ყოველდღიურ მოხმარებაში ავტომობილის წილმა დაიწიოს, ამის გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს“, – აღნიშნა დავითულიანმა.

გექა დანელია

ეროვნული ციფრული ვალუტა ჯერჯერობით მხოლოდ ისევ იდეაა, რომლის რეალურად შექმნასა და განვითარებაზე საქართველოს ეროვნული ბანკი 2020 წლიდან უკვე მუშაობს. ამ სტატიიდან გაიგებთ, ვინ ქმნის ციფრულ ლარს, როგორ იმუშავებს იგი, როდის და რაში შეიძლება ციფრული ლარი გამოიყენონ მოქალაქეებმა და სახელმწიფომ.

რა არის ციფრული ლარი და რით განსხვავდება ის სხვა კრიპტოვალუტისაგან?

აჯობებს კრიპტოვალუტას ციფრული ლარი?

ციფრული ლარი, როცა ის შეიქმნება, ეროვნული ბანკის ციფრული ვალუტა გახდება. ის კრიპტოვალუტის მსგავსი იქნება, თუმცა მთავარი განსხვავება ისაა, რომ ციფრულ ლარს ექსკლუზიურად შექმნის და გააკონტროლებს ცენტრალური ბანკი, მაშინ როცა ბაზარს კრიპტოვალუტებს კერძო ბიზნესი აწვდის.

ანუ ეროვნული ბანკი ისევე „გამოუშვებს“ ციფრულ ლარს, როგორც ახლა ბანკნოტებსა და მონეტებს ბეჭდავს.

ეროვნულ ციფრულ ვალუტას საერთაშორისო სავალუტო ფონდი CBDC განმარტავს, როგორც სუვერენული ვალუტის ციფრულ ფორმას, რომელსაც ქვეყნების ცენტრალური ბანკები უშვებენ.

ციფრული ლარის განვითარებაზე ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით ამერიკული კომპანია RIPPLE-ი იმუშავებს. ეს კომპანია, საერთაშორისო გადარიცხვებს ბლოკჩეინ ტექნოლოგიით უზრუნველყოფს. ციფრული ლარიც ბლოკჩეინ ტექნოლოგიას დაეფუძნება.

ციფრული ლარი როცა შემოვა, ნაღდი ფული აღარ იარსებებს?

– ოდესმე შესაძლებელია, მაგრამ არა ახლო მომავალში.

„ჩვენ ციფრულ ვალუტას ვქმნით როგორც ახალ საგადასახადო ინფრასტრუქტურას, არსებულ საგადახადო არხებთან თანაარსებობის პირობებში“, – ამბობს ეროვნული ბანკის ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელი **დავით დუდაშვილი.**

„ფინტექ ასოციაციის“ თავმჯდომარე **დავით კიკვიძე** გვეუბნება, **რომ ციფრული ლარის მიზანი ფიზიკური ფულის ჩანაცვლება ვერ იქნება – ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. იმავეს ფიქრობენ ეროვნულ ბანკშიც და ციფრული ლარის არსებობა ნაღდ და ელექტრონულ ფულთან (მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხა) ერთად წარმოუდგენიათ.**

მაინც რაში შევძლებ ციფრული ლარის გამოყენებას?

– წესით, გოლო ეტაპზე ყველა სახის გადარიცხვა უნდა შეძლოთ, ყოველ შემთხვევაში ასეთი მიზანი აქვს ეროვნულ განკს.

თუმცა, Galt&Taggart-ის ეკონომისტი **ლაშა ქავთარაძე** ფიქრობს, რომ ციფრული ლარის გამოშვების შემთხვევაში, მას პირველ რიგში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას გამოიყენებენ.

„მოველით, რომ ციფრული ლარი თავდაპირველად აქტუალური იქნება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის მიმართულებით, რომელიც მხარეებს შესაძლებლობას მისცემს მინიმუმამდე დაიყვანონ პოტენციური რისკები ტრანზაქციის პროცესში (ტრანზაქციები განხორციელდება, როგორც კი მხარეები ხელს მოაწერენ დოკუმენტებს)“, – ამბობს ის.

საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის მსგავსად, ციფრული ლარის ნაღდ ფულად ქცევაც შესაძლებელი იქნება. ეროვნულ ბანკში ამბობენ, რომ ციფრულ ლარში გადარიცხვები მყისიერად მოხდება.

იქნება თუ არა ტრანზაქციები ციფრულ ლარში უფასო, ეს ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ამ ეტაპზე სებ-ში ფიქრობენ, რომ მოსახლეობისთვის გადახდა უფასო უნდა იყოს.

„კითხვა (იქნება თუ არა ფასიანი გადახდა) ჩნდება სავაჭრო ობიექტების შემთხვევაში. რა იქნება მათთვის საკომისიო, ეგ დასადგენია, თუმცა ჩვენი ამოცანაა, რომ გადასახადი დღევანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყოს“, – ამბობს ეროვნული ბანკის წარმომადგენელი.

თუმცა ჯერჯერობით უცნობია, შეძლებენ თუ არა მოქალაქეები ციფრული ლარით გადახდას თუ მათ ინტერნეტზე წვდომა არ ექნებათ; ან იყიდიან თუ არა ციფრული ლარით უცხოურ ვალუტას.

ციფრული ლარი ქვეყნის ეკონომიკას გააუმჯობესებს?

– ჯერჯეროგით, კონკრეტულად რა გავლენას იქონიებს ციფრული ლარი ეკონომიკაზე, ძნელი შესაფასებელია.

„ციფრული ლარი ცენტრალიზებული მართვის მქონე ვალუტა იქნება, რადგან ეროვნულ ბანკს გადაწყვეტილი აქვს, რომ მინიმუმ ფულის მასა აკონტროლოს, ხოლო მაქსიმუმ, რა ზედამხედველობა ექნება, ეს ჯერ არ ვიცით. მეორე მხრივ, გვაქვს მდგომარეობა, რომ თუ ლარის ემისიის შემდეგ უამრავ კომპანიასთან, მათ შორის ბანკებთან, ურთიერთობაა საჭირო, ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ის, რომ ერთ ცენტრალიზებულ პირთან მოგვიწიოს ურთიერთობა. ეს შესაძლოა ეროვნული ბანკი იყოს, თუმცა ამ ეტაპზე არ ვიცით, ვინ იქნება“, – ამბობს საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელი **ალექსანდრე ძნელაძე.**

მისივე თქმით, ციფრულ ლართან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი საკითხი უცნობია. მათ შორის – რა მიმართულებით გაამარტივებს და ჩაანაცვლებს ის ნაღდ ფულს, ან თუ ჩაანაცვლებს, რა სფეროში იქნება ყველაზე ეფექტიანი. ამის მიუხედავად, არსებობს მოლოდინი, რომ ეროვნული ბანკის ციფრული ვალუტა გადარიცხვებისა და ანგარიშების მართვის სისტემას გაამარტივებს.

„ჯერ უნდა აირჩეს, რა სისტემა დაინერგება, ასევე მართვის ნაწილი როგორ ექნება ეროვნულ ბანკს რეგულირებული და სახელმწიფოს მხრიდან რამდენად ცენტრალიზებულად მოხდება ციფრული ლარის მართვა. უამრავი კითხვაა. თავად ციფრული ლარი წინგადადგმული ნაბიჯია და კარგია, რომ ამ მიმართულებით მზად ვიყოთ, მაგრამ როგორც იცით, ჯერ მუშაობის პროცეში ვართ“, – აცხადებს **ძნელაძე.**

ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში ციფრული ლარის გამოყენება გაიზრდება, რადგან ამ სისტემის მთავარი უპირატესობა ტექნოლოგიური განვითარებაა.

„დიდი ალბათობით, ბლოკჩეინზე დაფუძნებული სისტემა იქნება და აღარ იარსებებს ბანკთაშორისი ხარჯები, რაც დღეს გვაქვს. ასევე გადარიცხვის პროცესიც გაცილებით სწრაფი გახდება“, – აცხადებს ის.

ეროვნულ ბანკს ასევე აქვს მოლოდინი, რომ ნაღდ ფულთან შედარებით ციფრული ლარის გამოშვება ნაკლებად ხარჯიანი იქნება.

„ნაღდი ფულის გამოშვება დროსთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული. დროს მოითხოვს მასალის შესყიდვის პროცესი, ხოლო ხარჯიანია მისი დამზადება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია. თუმცა ნაღდ ფულს საკუთარი რაციონალი აქვს და ციფრული ლარის მიზანი მისი ჩანაცვლება არ არის. ზოგადად, მიიჩნევა, რომ ციფრული ლარის ემისიის ხარჯები გაცილებით ნაკლებია, ეს მართლაც თუ ასეა, დავადგენთ საპილოტე რეჟიმის დროს“, – ამბობს ეროვნული ბანკის წარმომადგენელი.

ცენტრალური ბანკის უკვე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **პაპუნა ლეჟავა** ამბობდა, რომ, მათი მოლოდინით, ნაღდ ფულთან შედარებით, ციფრულ ლარს მონეტარულ პოლიტიკაზე უკეთესი გადაცემის მექანიზმი უნდა ჰქონდეს. მონეტარული პოლიტიკის ცვლილების ასახვას, ანუ იმ საპროცენტო განაკვეთის, რომელსაც ცენტრალური ბანკი აწესებს კომერციული ბანკებისთვის გაცემულ სესხზე, გარკვეული დრო სჭირდება. როცა ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთს ზრდის, ქვეყანაში სესხები ძვირდება, ეს იწვევს მასზე მოთხოვნის შემცირებას, რაც საბოლოოდ ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს. ეს უკვე იწვევს ინფლაციის შემცირებას, თუმცა ამ პროცესს საკმაოდ დიდი დრო, რამდენიმე თვე სჭირდება.

„ციფრული ლარის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს პირდაპირ ფულის მასაზე ზემოქმედება შეეძლება, თუმცა რა მექანიზმით მოახერხებს ამას, ეს სებ-მა თავად უნდა განსაზღვროს. მნიშვნელოვანია ის, რომ კომერციული ბანკების გავლით აღარ იქნება ეს პროცესი, რადგან სებ-ს პირდაპირი კონტროლი შეეძლება ფულის მასაზე და ექნება საშუალება, ზემოქმედება იქონიოს ისე, რომ ეკონომიკაზე მყისიერად აისახოს. მყისიერად როცა ვამბობ, მასში 1-2 დღეს არ ვგულისხმობ, საუბარია მაგალითად 2 თვეზე“, – აცხადებს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე.

ეროვნული ბანკის წარმომადგენელი გვეუბნება, რომ მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებაზე ციფრული ლარის გავლენას დამატებითი კვლევა სჭირდება.

არსებობს ციფრული დოლარი ან ციფრული ევრო?

– ჯერ არა.

ამ ეტაპზე ციფრულ ვალუტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სტატუსი აქვთ: ზოგან განვითარების ფაზაშია, ზოგან კვლევის ეტაპზე ან საპილოტე რეჟიმში. ციფრული ფულის გამოშვება სულ რამდენიმე სახელმწიფომ, მაგალითად, კარიბის ქვეყნებმა და ნიგერიამ დაიწყეს.

ციფრული ვალუტის შექმნაზე ასზე მეტი ქვეყანა მუშაობს, მათ შორისაა ევროპის ცენტრალური ბანკიც. ციფრული ევრო ციფრული საფულის მსგავსი მოდელით ევროზონაში იმუშავებს. ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის Atlantic Council-ის ინფორმაციით, მსოფლიოს ყველაზე მსხვილ ეკონომიკებში კი ციფრული დოლარის პროექტი განვითარების ფაზაზე, ხოლო ციფრული იუანის ტესტირება საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს.

ბოლო-ბოლო, როდის გამოუშვებს ეროვნული ბანკი ციფრულ ლარს?

– ეს ჯერ უცნობია. ამ ეტაპზე მისი შესწავლის პროცესი მიმდინარეობს.

„როცა საპილოტე პროექტი დასრულდება, მერე გადაწყდება, იქნება თუ არა ციფრული ლარი საერთოდ წარდგენილი. ექსპერიმენტი თუ გვაჩვენებს, რომ ლარის საპილოტე პროგრამა წარუმატებელი იყო, მერე შეიძლება არც გავაგრძელოთ ციფრული ვალუტის შექმნაზე მუშაობა“, – გვეუბნება ეროვნული ბანკის ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელი.

საპილოტე რეჟიმი სულ მცირე ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდება.

მარიამ ვარადაშვილი



აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა:

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება არის აბსოლუტურად სწორი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი

ციფრული საქმიანობა ის ახალი პროდუქტია, ის ახალი სფეროა, რომელიც თანდათან იკიდებს ფეხს მთელ მსოფლიოში და მისასალმებელია, რომ ამის პრეცედენტები უკვე შექმნილია საქართველოში, – ამის შესახებ აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ** ახალი ციფრული ბანკისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის კომენტარისას განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ციფრული საბანკო საქმიანობისთვის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, არის აბსოლუტურად სწორი, რადგან საქართველო არ უნდა ჩამოუვარდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

მისივე განმარტებით, 7-თვიანი საცდელი პერიოდი საერთაშორისო გამოცდილებით მიღებული პრაქტიკაა, მსგავსი საქმიანობა კი როგორც წესი შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიდგომებთან და სტანდარტებთან, შესაბამისად ცალკეული ქვეყნების ცენტრალური ბანკების გადაწყვეტილებები მკაცრად რეგლამენტირებულია საერთაშორისო სტანდარტებით.

1891 წლის ადრეული გაზაფხული იდგა. დასავლეთ საქართველოში, სოფელ ჭყვიშში, ტაბიძეების პატარა ქოხში, ფილტვებით დაავადებული ახალგაზრდა კაცი სიკვდილს ებრძოდა. ყველა კარგად გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას, მაგრამ მის ცოლს ამას არავინ უმხელდა. აკვანში მათ ერთადერთ ვაჟს ეძინა.

„ვეღარ მოვრჩები, — უთხრა კაცმა ქალს. — გული ნუ გაგიტყდება, ყოჩაღად იყავი. ბავშვი წამოიზრდება. შენ კიდევ ისეთი ქალი ხარ, რომ უბედურებას არ დაიმჩნევ“, — განაგრძო მან. მაშინ ქალმა გაბედა და გაუმხილა ქმარს, რომ მეორე შვილს ელოდებოდა. კაცს სახე გაუბრწყინდა. შემდეგ ღვინო მოითხოვა. მომაკვდავს უარი ვერავინ უთხრა და მანაც ზედიზედ რამდენიმე ჭიქა დაცალა. „ეს გაუმარჯოს იმ პატარა ადამიანს, რომელიც შვიდი თვის შემდეგ დაიბადება“, — თქვა და... სულიც დალია.

17 ნოემბერს დაქვრივებულ ქალს ვაჟი შეეძინა, რომელსაც სახელად გალაკტიონი ანუ გალაქტიკა უწოდა.

იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი,
თურმე იმ ღამეს დაიბადა გალაკტიონი. (ზოთა ნიშნიანიძე)

გალაკტიონის ფენომენი

როდესაც ტექნიკური და პოლიტიკური რევოლუციების მომასწავებელმა ძლიერმა ქარმა დაბერა, ხელოვნება ახალი გზებისა და ფორმების ძიებაში გაოფთრებული გამოიყურებოდა და სამყაროს გამრუდებული ხედვა მოდად ქცეულიყო. მხატვრები და პოეტები შვებას ხშირად ესთეტიკურად უჩვეულო ხატებსა და სიმბოლოებში პოვებდნენ.

ფრანგულმა და ევროპულმა ავანგარდმა, იქნებოდა ეს ექსპრესიონიზმი, კუბიზმი, დადაიზმი თუ სიურრეალიზმი, ქართველ ლიტერატორთა და ხელოვანთა წარმოსახვაშიც შემოაღწია. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსული ზაუმისა და ფუტურიზმის გავლენა. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, გამოძახილი იყო იტალიური ფუტურიზმისა, რომელიც ძალადობას ეტრფოდა და ომს განადიდებდა. დადაიზმი უარყოფდა ესთეტიკას და ამიტომაც მას ანტიხელოვნებად მიიჩნევენ. უფრო მეტიც, როგორც ერთ-ერთმა ამერიკელმა ჟურნალმა თავის დროზე აღნიშნა, ადამიანის გონებას თუ რამ უარყოფითი შეუქმნია, აქედან დადას ფილოსოფია ყველაზე სნეული და დამანგრეველი რამააო. ამ დროს სიურრეალიზმი აღტაცებული მიესალმებოდა შემოქმედებითი ინსპირაციისთვის გაუცნობიერებელში შეღწევის დადასეულ პარანოიდულ-კრიტიკულ მეთოდს, რაც რეალურად ესთეტიზმს გამორიცხავდა. სალვადორ დალი წერდა: „რასაც ვქმნი, მე მხოლოდ აბსოლუტური ბუნებრიობით ვქმნი ესთეტურზე ზრუნვის ნატამალის გარეშე“. ამიტომაც იყო, რომ სალვადორ დალიმ თავის შედევრებში გამოშიგნა ადამიანი, ხოლო პაბლო პიკასომ დაანგრია ადამიანის სახე საოცარი ფერებით გამორჩეული, თუმც ძალზედ უცნაური და მშვენიერი კუბებით. ამიტომაც იტყვის ტომას ელიოტი, ჩვენ გამოშიგნული ადამიანები ვართო.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ერთნაირად იყო გამოძახილი იმდროინდელ სამყაროში არსებული კატაკლიზმებისა.

ახლა თავად გალაკტიონს მოვუსმინოთ:

„შეხედეთ თანამედროვე ადამიანს, მისმა უკანასკნელთა საზღვართა ძებნამ გადააჭარბა ყოველგვარ ფანტასმაგორიას, მისმა სურვილებმა, რომ გამოზომილ იქნას სივრცეთა უფსკრულებში, უშორეს მზეების და ცისარტყელების სპექტრის საფუძველზე, მიიყვანა იგი გამოგონებათა უგონო ორგიამდე. თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? უდიდებულეს რითმებში უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახება, ომები ვარსკვლავთა რაზმისა, გააფთრებული მზეების მიერ უეცრად ანთებული ცეცხლის ღრუბელი. საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერსად იპოვით! აირჩიეთ ორში ერთი:

განახლება ან სიკვდილი!“

გალაკტიონი განახლებას ირჩევს!

გალაკტიონს კარგად მოეხსენებოდა მისი თანამედროვე დასავლური ხელოვნების ყველა მიმართულება, მაგრამ პოეტი ქართული ლექსის ტრადიციების ერთგული დარჩა და ავანგარდიზმს დაახვედრა განახლებული, მაგრამ ჯეშმარიტად ჰარმონიული პოეზია, ამდენად, გალაკტიონი მოგვევლინა არა მხოლოდ, როგორც ორიგინალური, არამედ, როგორც გენიალური ნოვატორი. ეს უკანასკნელი გულისხმოგდა არა მარტო სიტყვათა და რითმათა, არამედ უმთავრესად ხედვის ნოვატორობას, რაც, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავში ახალი სამყაროს აღმოჩენას ნიშნავდა:

ღრუბლებო შავო, მზეო საპყარო,
მე აღტაცების ზღვაში შეველი,
აღმოვაჩინე მთელი სამყარო,
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.

მის მიერვე აღმოჩენილი სამყარო პოეტმა სრულიად ახალი ფორმით — „სიტყვა ნაწყვეტით“ დაგვიხატა, რადგან მიაჩნდა, რომ ის გამოგვიცხადებდა უფრო მეტს, ვიდრე ნებისმიერი „დიდი მსჯელობა“. და მაინც, მთავარი იყო ის, რომ ეს ვეება სამყაროც და ეს „სიტყვა ნაწყვეტიც“ იმ სიბრძნესა და კეთილშობილებაზე აღმოცენდა, რომელსაც სახელად რწმენის, ზნეობის, მშვენიერების, სიყვარულის, სამშობლოსათვის თავდადების, მშვიდობის ქადაგებისა და თავისუფლების ტრფიალის ჰარმონია ჰქვია.

გალაკტიონის ახალი ხედვით აღმოჩენილი სამყარო მრავალ გრძნეულ სიმბოლოსა და უჩვეულო შესიტყვებას შეიცავს. გალაკტიონის თანამედროვე მკითხველი ყოველთვის ვერ ხსნიდა მის სიტყვიერ გამოცანებს, მაგრამ გაუცნობიერებლად გრძნობდა და განიცდიდა მათ. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ გალაკტიონის სიცოცხლეში ქართველმა ერმა ის პოეტთა მეფედ აღიარა. მქონდა დიდი პატივი და ბედნიერება, თანამედროვე სემასიოლოგიის მეთოდოლოგიით ამეხსნა არა მხოლოდ მისი სიმბოლოები, არამედ უჩვეულო შესიტყვებები, რომელთაც გალაკტიონის ენიგმები ვუწოდე. ხოლო შემდეგ მეთარგმნა გალაკტიონი ინგლისურ ენაზე.

ქართველ საზოგადოებრიობას კარგად მოეხსენება, რომ ლონდონი გამოსცემს გალაკტიონს ჩემს ინგლისურ თარგმანში, ხოლო 2011 წელს ინგლისელი აკადემიური და დიპლომატიური წრეების ძალისხმევით გალაკტიონის 120 წლისთავი დიდი საზეიმო ღონისძიებით აღინიშნა. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დასავლეთმა დიდ ქართველს იუბილე გადაუხადა. დარბაზი განსაკუთრებული მოწიწებით მაშინ განიმსჭვალა, როცა ეკრანზე ჭყვიშის ქოხი გამოჩნდა. აი, რა ბრძანა იქ ერთ-ერთმა ლორდმა და მწერალმა: „გალაკტიონი ჩვენგან ძალიან შორს, ქართულ სოფელში, ერთ პატარა ქოხში დაიბადა, მაგრამ მისი 120 წლისთავის იუბილეს დღეს ლონდონის ერთ-ერთ სასახლეში ვზეიმობთ“.

ინგლისისა და ევროპის ინტერესი გალაკტიონისადმი წარმატებით გაგრძელდა.

ჩემი მიზანია, არა მხოლოდ გალაკტიონის პოეზია გავაცნო დასავლეთს, არამედ ავხსნა მისი ფენომენი. აი რას წერდა კონსტანტინე გამსახურდია: **„მე, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ — გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც მთელ პლანეტას არ მოეპოვება“.** წინამდებარე წერილი გახლავთ შემოკლებული ვარიანტი იმ ინგლისურენოვანი საჯარო ლექციებისა, რომლებიც წლების მანძილზე წამიკითხავს ინგლისში, ევროპასა თუ საკუთრივ ევროპის საგჭოში.

გალაკტიონმა, იწამა რა ქართული ლექსის ტრადიცია, საკუთარ მხრებზე აზიდა მსოფლიო პოეზიის საუკეთესო მიღწევები და შექმნა ახალი პოეტიკა, ახალი გალაკტიკა პოეზიაში, რომლის იდუმალი სათავეც, როგორც თავად ბრძანებს, სწორედ ის პატარა ქოხია, სადაც დაიბადა და გაიზარდა:

აქ საიდუმლო პატარა ქოხის
საიდუმლოა კაცობრიობის!

პოეტს სწამდა, რომ მის მიერ ახალი სამყაროს აღმოჩენასა და დამკვიდრებას მთელი ქვეყნიერების, მთელი მსოფლიოს გადარჩენა შეეძლო. ეს დამოკიდებულება გალაკტიონმა გამოხატა იმ ლექსით, სადაც გვესაუბრება ეპოქის დასასრულზე, მაგრამ წუხილს გამოთქვამს 1921-1922 წლებში დაკარგულ გენიოსებზე:

იმ საშინელ წელს — პოეტი-მეფე —
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,
ჰანგების მეფე — დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი.
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.

მაგრამ, როგორია ეს სიმღერა და როგორ უნდა შევისმინოთ ის?

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს
შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები.

გულუბრყვილო მკითხველს ზოგჯერ სჯერა, რომ პოეტი გრაალს ევედრება, ფრთებით დაიფაროს ის, ვინც მას უყვარდა დიდი სიყვარულით, თუმც ქართულ ფილოლოგიაში არ დაობენ იმის თაობაზე, რომ ლოცვად მუხლმოყრილი პოეტი გრაალს ლოცვის სიწმინდის გამო ედრება. ჩემი რწმენით, თავად გრაალთან კავშირში აქ შინაარსის კიდევ ერთი ასპექტი შემოდის: გრაალს, როგორც ძვირფას ქვას ან ბარძიმს, რომლიდანაც ქრისტემ უკანასკნელი სასმელი შესვა, ოდითგანვე ეძებს კაცობრიობა. გრაალის მძებნელ რაინდებს მტკიცედ სწამთ, რომ მისი მოპოვების შემთხვევაში, გრაალი მათ დიდი ბედნიერებითა და კეთილდღეობით დააჯილდოებს. გალაკტიონის სამყარო და მისი პოეზიის იდუმალება კაცობრიობისთვის ისეთივე ძნელად მოსაპოვებელი და მოსაძებნია, როგორც თავად გრაალი. ლოცვის სიწმინდესთან ერთად, პოეტი სწორედ ამ შინაარსით ედრება გრაალს — მომძებნეთ, მომიპოვეთ, და მე თქვენ აუცილებლად დაგაჯილდოებთ ბედნირებითა და კეთილდღეობით, საკუთრივ, იმ დიდი სიბრძნითა და ჰარმონიით, რასაც მისი შემოქმედება გვთავაზობს, რომელსაც, როგორც თავად ბრძანებს, საქართველო ჰქვია:

სადღაც რეკავს დაირა
და სიცილის წვეთება,
საქართველო! — აი რა
არის შემოქმედება.

ინესა მერაბიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲒᲔᲜᲝᲪᲘᲓᲘ – ᲰᲝᲚᲝᲙᲝᲡᲢᲘ

ᲰᲝᲚᲝᲙᲝᲡᲢᲘ ზოგადმა რასობრივმა სიძულვილმა განაპირობა, რამაც მკვეთრი ანტისემიტური განწყობა გამოიწვია იმდროინდელ ევროპულ, კერძოდ, გერმანულ საზოგადოებაში, თუმცა, ებრაელებისაგან მტრის ხატის შექმნას მხოლოდ გერმანელებს ვერ დავაბრალებთ. მოვლენას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ევროპაში, ანტისემიტიზმმა, ჯერ კიდევ, შუა საუკუნეებში იჩინა თავი. ებრაელთა პირველი გეტოები 1516 წელს, ვენეციაში გაჩნდა. რუსეთში, მე-18 საუკუნეში შეიქმნა ეგრეთწოდებული ჩერტა ოსედლოსტი ანუ დასახლების ფარგლები. ინდიელთა რეზერვაციების მსგავსი რამ, რაც დღესაც არსებობს ამერიკაში! ეს იყო კანონი, რომლის მიხედვით ებრაელებს იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება მხოლოდ განკუთვნილ ადგილებში ეძლეოდათ.

ᲰᲝᲚᲝᲙᲝᲡᲢᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ, ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ: ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲒᲔᲜᲝᲪᲘᲓᲘ, ᲐᲜᲣ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲰᲝᲚᲝᲙᲝᲡᲢᲘ, ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲡᲮᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲝ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲑᲝᲛᲔᲑᲡ, ᲡᲚᲐᲕᲔᲑᲡ, ᲘᲔᲰᲝᲕᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲔᲑᲡ, ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲔᲑᲡ...

საკითხი ინგლისმა დაბლოკა. 1935 წელს, ნაცისტურმა გერმანიამ ნიურბერგის ცნობილი კანონი მიიღო, რომლის მიხედვით, გერმანელი ებრაელი მეორეხარისხოვან ადამიანად ცხადდებოდა. 1938 წელს, ანტისემიტურმა ისტერიამ გერმანიაში კულმინაციას მიაღწია, რაც მასობრივ პოგრომებში გადაიზარდა. ყველაზე დიდი პოგრომი 9-10 ნოემბერს გაიმართა. ქუჩები სინაგოგებისა თუ სხვა ებრაულ ნაგებობათა კარ-ფანჯრისა და მაღაზიათა ვიტრინების ნამსხვრევებით აივსო. ამის გამო, მოვლენას ბროლის ღამე ეწოდა. დარბევების დროს, 400 ებრაელი დაიღუპა, 30-ათასი პატიმრობაში მოხვდა და საკონცენტრაციო ბანაკებში გადანაწილდა.

1933-39 წლებში, გერმანიიდან და ავსტრიიდან 330 ათასზე მეტი ებრაელი გაიქცა. პოლონეთის ანექსიის შემდეგ, გერმანული რაიხისთვის, ებრაელთა საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან პოლონეთში ორ მილიონამდე ებრაელი ცხოვრობდა. იმავე წელს, ჰიტლერმა გერინგს ებრაელთა გასახლების გეგმის მომზადება დაავალა. ასევე, რაიხის უშიშროებაში ებრაელთა საქმეების სპეცგანყოფილება შეიქმნა, რომელსაც ადოლფ აიხმანი ჩაუდგა სათავეში.

ებრაელთა გასახლების რამდენიმე გეგმა მომზადდა: კუნძულ მადაგასკარზე, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთში, მაგრამ ვერც ერთი ვერ განხორციელდა. ნაცისტების ახალი განკარგულებით, ყველა ებრაელს მკერდზე ყვითელი ფერის ნიშანი, დავითის ვარსკლავი უნდა ეტარებინა. ნაცისტებმა პოლონეთის ტერიტორიაზე გეტოების, იგივე ციხე-კოლონიების, შენება და იქ ებრაელთა განთავსება დაიწყეს. ყველაზე დიდი და ცნობილი ვარშავის, ლოძინის და ტერეზიენშტადტის გეტოები იყო. გეტოები ნაცისტების მიერ დაპყრობილ საბჭოთა მიწებზეც გაჩნდა. ებრაული გეტოების რაოდენობა 1150-ზე ავიდა.

გეტოების შექმნით ნაცისტები რამდენიმე მიზანს აღწევდნენ: ებრაელთა მკაცრი კონტროლი კონცენტრირებულად, მათი ქონების კონფისკაცია და მათი მონებად გამოყენება. ნაცისტები დიდი რაოდენობის საკონცენტრაციო ბანაკებს აშენებდნენ.

1941 წელს, გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს, სადაც ნაცისტები ებრაელებით დასახლებულ ადგილებს მიწასთან ასწორებდნენ. არსებობდა SS-ის სადამსჯელო რაზმები, რომლებიც უმოწყალოდ ხოცავდნენ ადამიანებს. მალე, გაზის კამერების გამოყენებაც დაიწყეს. თავდაპირველად, კამერები მობილური იყო, ანუ ავტომანქანებზე მონტაჟდებოდა. 1941 წლის 31 ივლისს, ჰიტლერმა რაინჰარდ ჰაიდრიხი დანიშნა რეიხის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსად, რომელმაც ებრაელთა გენოციდის საკითხი ოფიციალურად ჩაიბარა, რის შემდეგ მათი განადგურება გაასმაგდა. საკონცენტრაციო ბანაკებში ეგრეთ წოდებული სიკვდილის ბანაკები შეიქმნა.

1942 წლის 20 იანვარს, ბერლინის ერთ-ერთი უბნის, ვანზეის ერთ დიდ ვილაში, ნაცისტური პარტიისა და გერმანიის უშიშროების სამინისტროს 15 მაღალჩინოსნის მოკლე საიდუმლო კრება შედგა, ვანზეის კონფერენციის სახელწოდებით, რომელმაც ებრაელთა მიზანმიმართული განადგურების გადაწყვეტილება მიიღო. ჩაითვალა, რომ, მანამდე, განადგურება ქაოსური იყო და მას სისტემური ხასიათი უნდა მიცემოდა, ანუ ებრაელთა ჟლეტის მექანიზმი უნდა დახვეწილიყო. ფაქტობრივად, ვანზეის კონფერენცია ჰოლოკოსტის დასასრულის დასაწყისს ნიშნავდა. 1943 წელს, სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ, ნაცისტურმა გერმანიამ ომის წაგების მოახლოება იგრძნო. შესაბამისად, აუშვიცის, ტრებლინკას, სობიბორის, მაიდანეკისა და სიკვდილის სხვა ბანაკებში ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა ააჩქარა. მხოლოდ აუშვიცში მილიონ სამასი ათასი ადამიანი განადგურდა, მათ შორის, მილიონ-ასი-ათასი ებრაელი იყო. მთლიანად, ექვს-მილიონზე მეტი ებრაელი დაიხოცა. ჰოლოკოსტმა, ასევე, ორასი ათასამდე ბოშა, სამ მილიონზე მეტი საბჭოთა სამხედრო ტყვე, ორ მილიონამდე პოლონელი და სხვა მრავალი ადამიანი შეიწირა. 1945 წლის 27 იანვარს, საბჭოთა ჯარმა აუშვიცის ბანაკის ტყვეები გაათავისუფლა. მოგვიანებით, გაერომ ეს დღე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.

ნიურბერგის ცნობილ პროცესზე, ნაცისტური გერმანიის ომის დამნაშავეები გასამართლდნენ. ამ და სხვა შესაბამისმა სასამართლო პროცესებმა ცხადყო, რომ ის პირები, ვინც ამ სასტიკ მკვლელობებს ჩადიოდნენ ურჩხულებს კი არ გავდნენ, არამედ ჩვეულებრივი უბრალო ადამიანები იყვნენ. მაშ, რა მოხდა, რამ უბიძგა ჭკუადმყოფ, ჯანსაღ ადამიანს ასეთი სისასტიკისკენ? მოგვიანებით, ცნობილი გერმანელი ებრაელი მეცნიერი ჰანა არენდტი ამ მოვლენას ბოროტების ბანალურობას უწოდებს. მისი აზრით, ნაცისტური ელიტა, შესაძლოა, სადისტური მანიაკებისგან შედგებოდა, მაგრამ მათი ბრძანებების შემსრულებელი უბრალო გერმანელი, ჩვეულებრივი, ბანალურად მოაზროვნე ადამიანი იყო, რომელიც უსიტყვოდ ასრულებდა იმას, რასაც ავალებდნენ. მკვლევარის თქმით, ყველაზე დიდი ბოროტება, როგორც წესი, იმ მდაბიო ადამიანთა ხელიდან გამოდის, არაფერზე საკუთარი აზრი რომ არ გააჩნიათ!..

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ Ბ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ
POSTV

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲐᲛ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲓ ᲐᲥᲪᲘᲐ

ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ღაზას სექტორის ერთ-ერთ უდიდეს სამედიცინო დაწესებულება „ალ-შიფას“ „თითქმის სასაფლაო“ უწოდა.

ალ-შიფას ჰოსპიტალი – რომელიც მდებარეობს ღაზას ჩრდილოეთით – ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ინტენსიურად იბომბებოდა. ისრაელის თავდაცვის ძალები აცხადებენ, რომ ჰოსპიტლის გვირაბში „ჰამასი“ იმყოფება. ორგანიზაციის პრესსპიკერის, კრისტიან ლინმაიერის თქმით, ალ-შიფას საავადმყოფოში, დაახლოებით, 600 ადამიანია, დანარჩენები კი თავს დერეფნებს აფარებენ.

„საავადმყოფოს ირგვლივ არის ცხედრები, რომელთა დაკრძალვა ან მორგში გადაყვანა ვერ ხერხდება. საავადმყოფო აღარ მუშაობს, ის თითქმის სასაფლაოდ იქცა“, – აცხადებს ჯანმოს წარმომადგენელი.

ამასთან, შემაშფოთებელია ათობით დღენაკლული ბავშვის ბედი, რომლებსაც, ელექტროენერგიის გათიშვის გამო, ინკუბატორებში საფრთხე ემუქრებათ.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის მრჩევლის მარკ რეგევის თქმით, ისრაელმა ღაზას ჩვილების ევაკუაცია შესთავაზა. ისრაელი ამტკიცებს, რომ „ჰამასმა“ არ მიიღო მათი შეთავაზება.

„ჩვენ საოკუპაციო ძალებს ვაკისრებთ სრულ პასუხისმგებლობას ალ-შიფაში სამედიცინო პერსონალის, პაციენტებისა და იძულებით გადაადგილებული ადამიანების სიცოცხლეზე“, – განაცხადა პალესტინის ჯანდაცვის მინისტრმა **მაი ალ კაილამ.**

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲑᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲔᲜ

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ უკრაინას აღარ გადასცემს სამხედრო დახმარებას საკუთარი მარაგებიდან, – ამის შესახებ სლოვაკეთის თავდაცვის მინისტრმა, რობერტ კალინიაკმა ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივანთან, იენს სტოლტენბერგთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

„თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელმა, კალინიაკმა ნატოს გენერალურ მდივანს სლოვაკეთის მარაგებიდან უკრაინისთვის სამხედრო დახმარების შეწყვეტის შესახებ შეატყობინა“, – ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სლოვაკეთი უკრაინას ჰუმანიტარული, სამოქალაქო და ტექნიკური არალეტალური დახმარების საკმაოდ ფართო სპექტრს სთავაზობს.

ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲘ ᲝᲠᲞᲝᲡ განცხადებით, თავშესაფრის მაძიებელთა ზრდის გამო, რუსეთთან საზღვრის ჩაკეტვას განიხილავენ. მისი თქმით, ამ საკითხს ქვეყანა სერიოზულად უნდა მიუდგეს.

„ცხადია, რომ ამ ხალხს საზღვრამდე მისვლაში ეხმარებიან. როგორც ჩანს, ეს ძალიან გაცნობიერებული გადაწყვეტილებაა. ჩვენი მთავრობის მესიჯი ნათელია – ამას სერიოზულად უნდა მივუდგეთ და ჩვენი საზღვრის უსაფრთხოება უნდა უზრუნველვყოთ“, – აცხადებს ფინეთის პრემიერი.

საკითხზე განმარტება ასევე გააკეთა ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მარი რანტანენმა. როგორც ის აღნიშნავს, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო პუნქტზე მიგრანტების რაოდენობა მკვეთრად არის გაზრდილი.



მეგრული და სვანური ენები ონლაინ

ონლაინგაკვეთილს სამი ადამიანი ესწრება, ერთი შვეიცარიიდან, მეორე საფრანგეთიდან, მესამე – საქართველოდან. მეგრულს სწავლობენ. მასწავლელი ნათია ფონიავა გრამატიკას ხსნის და სავარჯიშოები ეკრანზე ჩანს, თუ პასუხი სწორია, მადლობას იხდის: „მარდი, მარდი“.

„– გომორძგუა, სი მუ ჯოხო?

– გიორგი.

– სკანი მაყალე სონი რე?

– ჩქიმი მაყალე იაპონარი რე“.

(გამარჯობა, რა გქვია? გიორგი. შენი მეგობარი სადაურია? ჩემი მეგობარი იაპონელია).

დღევანდელ მსოფლიოში მცირე ენები ქრება და განვითარებული ქვეყნები ამის შეჩერებას ცდილობენ - კურსები, წახალისებული პროგრამები, სწავლება სკოლაში.

საქართველოშიც გამომცემლობა „არტანუჯმა“ მცირე ენების გადასარჩენად ონლაინკურსები შექმნა, მეგრულისა და სვანურის შესწავლა ახლა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან შეიძლება.

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მოწყვლადია ენა, ხუთსაფეხურიანი შკალა არსებობს:

დაუცველი – ბავშვები საუბრობენ ამ ენაზე, მაგრამ, მაგალითად, მხოლოდ სახლში.

გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი – ბავშვებისთვის ეს ენა აღარ არის „დედაენა“.

გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი (მძიმე ფორმით) – ამ ენაზე საუბრობენ ბებიები და ბაბუები, მშობლებს ესმით, მაგრამ ბავშვებს ამ ენაზე უკვე აღარ ელაპარაკებიან.

საფრთხის ქვეშ მყოფი (კრიტიკული დონე) – ყველაზე ახალგაზრდები, ვინც ამ ენაზე საუბრობენ, ბებია-ბაბუები და მათზე უფროსები არიან. ისინიც ამ ენას მხოლოდ ნაწილობრივ იყენებენ.

გადაშენებული – ამ ენაზე აღარავინ ლაპარაკობს.

მეგრულსა და სვანურს ამ შკალაზე მეორე-მესამე ადგილი უჭირავთ – გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი. ეს ენები ახალგაზრდობას ესმის, მაგრამ არ საუბრობენ. თაობებს შორის წყვეტა კი ნიშნავს, რომ მომდევნო თაობა ენას ვეღარც გაიგებს.

„ყველაზე რთული ვითარება არის აბაშაში და ფოთში, აქ მხოლოდ უფროსი თაობა მეტყველებს მეგრულად. ზოგადად ქალაქებში ბევრად უარესი მდგომარეობაა, ვიდრე სოფლებში. ხშირად ამბობენ, ვინ უშლით, ილაპარაკონო, შეიძლება არავინ უშლის, მაგრამ დასცინიან აქცენტის გამო, თან რადგანაც ეს ენა პრესტიჟული არ არის, არ სჭირდებათ და ცდილობენ, სხვა ენები ისწავლონ“, – ამბობს **ნათია ფონიავა.**

საქართველოში მცირე ენებზე ზრუნვა უფრო კერძო ინიციატივებზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა მეგრულისა და სვანურის კურსებია. მსურველი ცოტაა, მაგრამ მაინც არიან.

21 წლის გიორგი გოგელაშვილი კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალისტია, ენის ტექნოლოგიებზე მუშაობს, მანქანურ თარგმანებზე, ჩეთბოტებზე...

„მაინტერესებს ქართველური ენები. მეგრულით დავიწყე, რადგან მეგრულის კურსები ჩემთვის უფრო მოსახერხებელ დროსაა. მეგრულის სწავლით ქართული ენის მახასიათებლებზეც ბევრს ვიგებ“.

გიორგი ვაშაკიძე ჟენევაში ცხოვრობს. მან მეგრულის სწავლა ორი მიზეზით გადაწყვიტა, პირველი მეგრელი მეგობრები ჰყავს და მეორე – ცდილობს, ენის გადარჩენაში თავისი წვლილი შეიტანოს.

„ბევრი მეგრელი მეგობარი მყავს და მათ პატივსაცემად მინდა ვისწავლო, მათთან სალაპარაკოდ. თან შვეიცარიას რომ შეხედავ, აქაც ხომ იგივე სისტემაა. აქ სახელმწიფო ენებია ფრანგული, გერმანული და კიდევ არის ასევე რეტორომანული ენა, რომელზეც სულ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი ლაპარაკობს, მაგრამ ხელისუფლება მაინც აფინანსებს და ზრუნავს ამ ენაზე. (რეტორომანული ენაზე საუბრობენ შვეიცარიაში, გრაუბიუნდენის კანტონში. მიეკუთვნება რომანულ ენებს. რ.თ.)“.

ილია ნაჭყებია ფოთში დაიბადა, მის სახლში მეგრულად მხოლოდ ბებია და ბაბუა ლაპარაკობდნენ, ისიც იშვიათად. ბოლო 10 წელია საფრანგეთში ცხოვრობს.

„აქ განსაკუთრებულად მომაწვა (ნოსტალგია) და ვსწავლობ, რომ არ დავკარგო ჩემი ძირი, ქართველობა. რამდენიმე ენა ვიცი, ფრანგული, რუსული, ინგლისური, აღრე გერმანულიც ვიცოდი. მეგრულად რაღაც სიტყვები მესმის, მაგრამ ვერ ვლაპარაკობ და მიზნად მაქვს, კარგად ვისწავლო. ამას წინათ საფრანგეთის ერთ-ერთ რეგიონში ვიყავით, ბრეტანი ჰქვია, მაგათაც თავისი ენა აქვთ, ფრანგულს საერთოდ არ ჰგავს. იქ წარწერები ქუჩაში ორ ენაზეა, ტელევიზიაც აქვთ თავიანთ ენაზე, ხალხიც ცოტას, მაგრამ მაინც ლაპარაკობს“.

მეგრულის და სვანურის კურსები ოთხთვიანია, გაკვეთილები კვირაში ორჯერ ტარდება, ერთი საათით. ენა A1 დონეზე ისწავლება, ბოლოს სერტიფიკატსაც აძლევენ. მთელი კურსი 400 ლარი ღირს.

„ლაზური ჯგუფი წელს ვერ შედგა, მხოლოდ მეგრული და სვანური. ამ კურსის დასრულების შემდეგ მარტივი ურთიერთობა შეეძლებათ, ადგილის აღწერა, გარეგნობის აღწერა, მიმართულების ჩვენება, საათის ცნობა, წელიწადის დროები და ასე შემდეგ“, – ამბობს **ნათია ფონიავა.**

სვანურის კურსზე ამჯერად სულ ორი მოსწავლეა, პირველ ნაკადში ოთხნი იყვნენ, მასწავლებელი მედეა საღლიანი ამბობს, რომ ბავშვები ძალიან მოწადინებულები არიან.

„აინტერესებთ სვანური ენა, მისი კავშირი მეგრულთან, ძველ ქართულთან. გაზაფხულზე მეორე დონეზე გადავალთ, პირველი კურსის მოსწავლეებიც შემოგვიერთდებიან. ახლა მართლა ანა-ბანადან დავიწყეთ, სვანური ბგერების გამოთქმიდან, ქართულში რომ 5 ხმოვანია, სვანურში 18 გვაქვს.

სვანურისა და მეგრულის გაქრობა რასაც მოასწავებს, ყველამ იცის, ამ ენების გარეშე თავად ქართული ენის კვლევაც არ არის შესაძლებელი. ადრე სულ კამათი და ჩხუბი იყო, რატომ უწოდებთ მეგრულს და სვანურს ენებს, დიალექტებიაო. ახლა ამაზე აღარ დაობენ, ახლა უკვე ეშინიათ, ეს ენები საერთოდ არ დაიკარგოს“, – ამბობს **მედეა საღლიანი.**

გარდა მეგრულისა და სვანურისა, საფრთხის ქვეშ არის წოვათუშური, აფხაზური და ოსური ენებიც. 2022 წლის 14 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თქვა, ეგებ მეგრული და სვანური სკოლებში ისწავლებოდესო.

„გვევალება მეგრულის, სვანურის, ჭანურისა და ლაზურის დაცვა და გადარჩენისთვის ზრუნვა, რამეთუ ეს ენები განუყოფელი ნაწილია ჩვენი კულტურის და წარმოადგენენ უნიკალურ სიმდიდრეს. ამას შევძლებთ, თუკი სკოლაში არჩევითი სწავლების უფლებას დავაწესებთ პირველ რიგში მეგრულისა და სვანურისათვის“, – თქვა **პრეზიდენტმა,** თუმცა ამ იდეას ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია.

თეა თოფურია,

„რადიო თავისუფლება“.

მედიცინის უცნაურობები

ადამიანს თვალის კაკალი გადაუნერგეს

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის Langone Health ქირურგებმა მსოფლიოში პირველებმა განახორციელეს ადამიანის თვალის კაკლის ტრანსპლანტაცია.

ოპერაცია ნახევარი წლის წინ, 46 წლის ელექტრიკოსს, აარონ ჯეიმს გაუკეთეს. მუშაობისას ის სახით შეეხო ძაბვის ქვეშ მყოფ სადენს, რის გამოც დაკარგა მარცხენა თვალი, ხელი და სახის ნაწილი. ოპერაცია 21 საათი გრძელდებოდა, მას 140 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი აკეთებდა. ტრანსპლანტაციამ ჯეიმსს მხედველობა არ დაუბრუნა, თუმცა ექიმები ამას მაინც დიდ გარღვევად მიიჩნევენ.

„თვითონ ის ფაქტი, რომ თვალის გადანერგვის პირველი წარმატებული ტრანსპლანტაცია განვახორციელეთ წინ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯია. კაცობრიობა ამაზე საუკუნეების განმავლობაში ფიქრობდა, თუმცა აქამდე ეს ვერავინ შეძლო“, – განაცხადა ექიმმა ედუარდო როდრიგესმა.

ჯეიმსის ორგანიზმმა ახალი ორგანო კარგად მიიღო – სისხლძარღვები მასში სწორად ფუნქციონირებს. ამასთან, კაცმა წინასწარ იცოდა, რომ გადანერგილ თვალში მხედველობა არ აღუდგებოდა, თუმცა ოპერაციას მაინც დათანხმდა, რათა ქირურგებს სათანადო გამოცდილების მიღება შეეძლოთ, რომ მომავალში სხვებს დაეხმარონ.

ორი საშვილოსნო და ორივე განაყოფიერებული...

32 წლის ამერიკელი ქალი, რომელიც ორი საშვილოსნოთი დაიბადა, ახლა ორივეთი ორსულად არის.

კელესი ჰეტჩერი, 17 წლის იყო, როდესაც შეიტყო, რომ საშვილოსნოს დიდელფიზი ჰქონდა – იშვიათი მდგომარეობა, რომლის დროსაც, ადამიანს ორმაგი საშვილოსნო აქვს. სტატისტიკურად, ასეთი რამ ქალების 0,3 პროცენტში გვხვდება.

მაისში, ორსულობის მერვე კვირაზე, ულტრაბგერაზე ვიზიტისას, სამი შვილის დედამ შეიტყო, რომ ის არა მხოლოდ ტყუპებს ელოდებოდა, არამედ უფრო მეტიც – ნაყოფი ორივე საშვილოსნოში იყო წარმოდგენილი.

„გავოგნდით, მაგრამ შემდეგ ძალიან ბევრი ვიცინეთ“, – წერს კელესი.

„დიდი ალმათობით მოხდა ისე, რომ მას ოვულაცია ცალ-ცალკე ჰქონდა და ფალოპის ლულაში (კვერცხსავალი) თითო კვერცხუჯრედი ჩავიდა, საშვილოსნოს ორივე მხარეს განლაგდნენ. ამის შემდეგ, სპერმამ ორივე საშვილოსნოში შეაღწია და განაყოფიერება ცალ-ცალკე მოხდა“, – ამბობს ალაბამის უნივერსიტეტის გინეკოლოგი შვეტა პატელი. მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი საშვილოსნოს მქონე ქალებს ხშირად გართულებული ორსულობა აქვთ, ჰეტჩერის წინა სამივე ბავშვი ჯანმრთელი და თავის დროზე დაიბადა.

ორივე საშვილოსნოთი ორსულობა უკიდურესად იშვიათია. ჰეტჩერის თქმით, როგორც მას სპეციალისტებმა უთხრეს, ამის შანსი 50 მილიონში ერთია. ბოლოს ასეთი ფაქტი 2019 წელს ბანგლადეშში აღირიცხა, როდესაც 20 წლის არიფა სულთანამ ჯანმრთელი ტყუპი 26-დღიანი შუალედით გააჩინა.

ჰეტჩერს იმედი აქვს, რომ ორივე გოგონას ბუნებრივი მშობიარობით გააჩენს, დაახლოებით შობისკენ.

თუმცა, საშვილოსნოები სხვადასხვა დროს შეიკუმშება, შეიძლება წუთების, საათების ან დღეების შუალედით. ამიტომ, ჰეტჩერმა და მისმა მეუღლემ იციან, რომ შესაძლოა, საჭირო გახდეს საკეისრო კვეთა.

◎ პირველად

ნავსი გავჭეხეთ!

რუსუდან ხოფერიას სამშობლო სამართლიანად ითვლება გატუტზე ხტომის ერთ-ერთ ლიდერად, მაგრამ ის წარმატება, რომელიც ამ დღეებში მოიპოვეს ჯვაროსნებმა, მაინც ისტორიულია, რადგან პირველია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში.

საუბარია ინგლისის ქალაქ ბორმინგემში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ფინალში გასულმა ჩვენმა კვარტეტმა ლუბა გოლოვინას, ანანო აფაქიძის, მარიამ რაგიმოვასა და თეონა ჯანჯღავას შემადგენლობით ნანატრი ბრინჯაო მოიხვეჭა. ვულოცავთ!

დავძენთ, რომ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ჩინეთის უძლიერესმა ნაკრებმა შეაბიჯა, ვიცე-ჩემპიონობა კი მომავალი – 2024 წლის ოლიმპიადის ამბიციურმა მასპინძელმა საფრანგეთის გუნდმა დაიმსახურა.

◎ ფორუმზე

მარადიულ ქალაქში

ახლახან იტალიის დედაქალაქმა რომმა ევროპის სპორტსმენთა მე-7 ფორუმს და გენერალურ ასამბლეას უმასპინძლა, რომელიც ჩატარდა იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (CONI) შტაბ-ბინაში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სპორტსმენთა კომისიის წარმომადგენლები, მათ შორის – სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიის თავმჯდომარე **გოგიტა არქანია.**

ფორუმის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (EOC) პრეზიდენტი სპიროს კაპრალოსი და გენერალური მდივანი რაფაელ პანიოცი, ასევე იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯოვანი მალაგო. ფორუმის მიმდინარეობისას გაიმართა პრეზენტაციები, ჯგუფური დისკუსიები და სემინარები. EOC-ის სპორტსმენთა კომისიის თავმჯდომარემ გერდ კანტერმა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) სპორტსმენთა კომისიის თავმჯდომარემ ემა ტერჰომ, წარმოადგინეს დეტალური მოხსენებები ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ასამბლეაზე აირჩიეს ევროპის სპორტსმენთა კომისიის ახალი თავმჯდომარე და ოთხი ახალი წევრი. ევროპის სპორტსმენთა კომისიას ბრიტანელი ტრიატლონისტი ალისტერ ბრაუნლი უხელმძღვანელებს. EOC-ის პრეზიდენტმა სპიროს კაპრალოსმა მადლობა გადაუხადა ყოფილ თავმჯდომარეს გერდ კანტერს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა მისი განსაკუთრებული ღვაწლი სპორტსმენთა კომისიის მუშაობაში, ახალ თავმჯდომარეს კი წარმატებები უსურვა.

◎ 10 წლის შემდეგ

შეჯევის ტრფიალი

მაშ ასე – ხვიჩა კვარაცხელიას იტალიურ კარიერაში მესამე მწვრთნელად ვალტერ მაცარი დაუნიშნეს, რომელიც ნაპოლის თავკაცად 2009-2013 წლებში უკვე მუშაობდა და შემტევი ფეხბურთის აპოლოგეტადაა მიჩნეული, რადგან უპირატესობას 3 მცველითა და 3 თავდამსხმელით თამაშს ანიჭებს.

სწორედ მის სახელს უკავშირდება კამპანიელთა უკანასკნელი წარმატებული გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაში, სადაც ჩელსისთან წააგეს ორრაუნდიანი დუელი – 3:1, 1:4. მაშინ პარტენო პეის სპორტულ ღირსებას კავანი, ლავეცი და ჰამშიკი იცავდნენ, მათ გარდა კი ეს ცნობილი სპეციალისტი სხვებთან ერთად ინტერს, ტორინოს, სამპდორიასა და ინგლისურ უოტფორდსაც ავარჯიშებდა.

შეგახსენებთ, რომ იტალიის მოქმედი ჩემპიონის თავკაცის პოსტზე ფაბიო კანავაროსა და, ყველაზე რეალურად, იგორ ტუდორის კანდიდატურები განიხილებოდა, მაგრამ გადამწყვეტი კლუბის პრეზიდენტ აურელიო დი ლაურენტისის მიერ შეთავაზებულ საკონტრაქტო პირობებზე მისი ძველი ნაცნობის თანხმობა აღმოჩნდა, რომელსაც, სხვათა შორის, 10 წლის წინათ სკანდალურად დაშორდა. როგორც ჩანს, ისინი შერიგდნენ.

დავძენთ, რომ სანაკრებო პაუზის შემდეგ ვალტერ მაცარის უმძიმესი დაბრუნება მოუწვს, რადგან მის შეგირდებს კალენდრით ზედიზედ აქვთ მატჩები ატალანტასთან, ინტერთან, იუვენტუსთან და რეალთან.

◎ პარიზი – 2024

შემოდგომის მიწურულს...

ფიგა-ს გადაწყვეტილებით, 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის საკალათბურთო საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრა 27 ნოემბერს შვეიცარიის ქალაქ ნიონში მოეწყობა, სადაც 24 ნაკრების, მათ შორის საქართველოს ეროვნული გუნდის მომავალ მეტოქეთა ვინაობა გაირკვევა.

რაც შეეხება საორგანიზაციო საკითხებს, როგორც მოგეხსენებათ, გაისად ზაფხულში (27 ივლისი – 11 აგვისტო) საფრანგეთის დედაქალაქში 12 ქვეყნის წარგზავნილები შეიკრიბებიან, რომელთაგანაც 8 უკვე ცნობილია (მასპინძელი საფრანგეთი, სამხრეთ სუდანი, კანადა, აშშ, იაპონია, გერმანია, სერბეთი, ავსტრალია).

დანარჩენი ოთხი საგზურის მფლობელს 2024 წლის 2-7 ივლისს დაგეგმილი ბრძოლები გამოავლენს. წინასწარაა ცხადი, რომ მაძიებელნი 6 ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდებიან, ხოლო შემდეგ თითოეული ექვსეული კვლავ გაიყოფა და ყოველი ტრიო წრიულად ითამაშებს. მათგან ორ-ორი საუკეთესო ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდება, შემდეგ კი გამარჯვებულნი ოთხ ფინალს გაითამაშებენ და რჩეულთა კვარტეტიც დასახელდება.

დასასრულს, საკვალიფიკაციო ტურნირზე შეიკრიბებიან: ანგოლა, ბაჰამის კუნძულები, ბაჰრეინი, ბრაზილია, კამერუნი, კოტ დივუარი, ხორვატეთი, დომინიკის რესპუბლიკა, ეგვიპტე, ფინეთი, საქართველო, სამერძნეთი, იტალია, ლატვია, ლიბანი, ლიეტუვა, მექსიკა, მონტენეგრო, ახალი ზელანდია, ფილიპინები, პოლონეთი, პუერტო რიკო, სლოვენია და ესპანეთი.

ევროლიგა. ვირტუსი – მილანი 86:79. **თორნიკე შენგელია** – 14 ქ. 6 მ. 4 პ. 28 წუთში.

ნბა. ბრუკლინი – ორლანდო 124:104. **გოგა ბითაძე** – 14 ქ. 3 მ. 1 პ. 24 წუთში.

◎ კრებულად აკინძული

კეთილაძემ გვისახსოვრა

იქ, სადაც წამის შეჩერების დიდოსტატი ალექსანდრე კოტორაშვილი მოღვაწეობს, ძნელია საკუთარი ადგილი დაიმკვიდრო და პროფესიონალიზმში დაარწმუნო სპორტული საზოგადოება. ქუთაისის კოლორიტმა გადრი კეთილაძემ დედაქალაქში გადმოპორტირებისთანავე მოახერხა ეს და სადაც კი მიანდეს ცხოვრებისეული მოწოდების მსახურება, ყველგან მოასწრო დაუვიწყარი ფოტოების შექმნა.

განსაკუთრებით პოპულარულ გაზეთ „სარბიელში“ გამოქვეყნებული კადრებით დაგვამახსოვრა თავი, რომცა ოპერატიულად გვანებივრებდა სამშობლოსა თუ მის საზღვრებს მიღმა თანამემამულეთა ასპარეზობების ამსახველი შედევრებით. სამწუხაროა, რომ ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის შესახებ უკვე რამდენიმე წელია წარსულში გვიწევს საუბარი.

ხომ იცით – მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი და მის უკვდავ შემოქმედებას მიეძღვნა თბილისის საკრებულოში სპორტის სამინისტროსა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ხსოვნის საღამო, რომელიც 1996-2002 წლებში ხელოვანის გადაღებულმა ფოტოებმა დაამშვენა. სიცოცხლე გრძელდება!

ორიოდე სიტყვით

ჩოგბურთი

კვიპროსი. 14 წლის გოგონათა საერთაშორისო ტურნირი. **2 ოქრო** – ანა ჩაჩხუნაშვილი (როგორც ერთეულთა თანრიგში, ისე წყვილებში ისრაელელ ლიზა რიტერმანთან ერთად).

ძიუდო

რეიტინგი ევრო – 2023-ის შემდეგ. სამ წონაში ვლიდერობთ: ტატო გრიგალაშვილი (81 კგ), ლუკა მაისურაძე (90 კგ) და ილია სულამანიძე (100 კგ).

ძალოსნობა

დუშეთი. ეროვნული ჩემპიონატი. **ოქრო** – შამილიშვილი, ბერდელიძე, მიშველიძე, ხარაზიშვილი, ოჩიგავა, ასანიძე, მსხალაძე, ჩხეიძე, ლომთაძე, თურმანიძე. **გუნდური** – აჭარა, საჩხერე, ზუგდიდი.

რაგბი

18-ლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი. საქართველო – ნიდერლანდები 29:10 (7:3). შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შვეიცარია გაანადგურეს – 86:10, თანაც მეტოქეს 14 ლელო გაუტანეს, აქედან 3-3 – **ლუკა საღინაძემ** და **მიხეილ შიოშვილმა**, რომლებმაც მხოლოდ თითო ტაიმი ითამაშეს. ფინალში ჩვენი გუნდი პორტუგალიას შეხვდება, რომელმაც მეზობელ ესპანეთს პრინციპული ბრძოლა მოუგო.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ახალი სახანძრო მანქანებით აღიჭურვა

დაცული ტერიტორიების სააგენტოს, კორეის ეროვნული პარკების სამსახურთან (KNPS) გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სახანძრო მანქანები გადაეცა. ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.

„ახალი სახანძრო მანქანებით აღიჭურვა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდი ეროვნული პარკია და ერთ-ერთ ხანძარსაშიშ ზონას წარმოადგენს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ დავით იოსებაშვილმა მადლობა გადაუხადეს კორეის რესპუბლიკის ეროვნული პარკების დელეგაციის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობისა და იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც კორეის ეროვნული პარკების სამსახურისგან იღებს დაცული ტერიტორიების სააგენტო, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე ტექნიკური აღჭურვის კუთხით. აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კორეის ეროვნული პარკების სამსახურს (KNPS) შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის, კორეის ეროვნული პარკების სამსახურისგან საგენტომ მიიღო საფრენი აპარატი დრონი, რომლის გამოყენებაც ეფექტიანად ხორციელდება გიომრავალფეროვნების მონიტორინგისთვის“.

საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე 1 029 კილომეტრით გაიზარდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახუროს მონაცემებით, საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე გაიზარდა და 2022 წლისთვის 41 073.3 კილომეტრი შეადგინა.

საქსტატის ცნობით, **საერთაშორისო მნიშვნელობის გზების სიგრძე 1 593.4 კილომეტრს შეადგენს, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის – 5 460.3 კილომეტრს, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე 34, 019.6 კილომეტრია.**

რაც შეეხება რეგიონების მიხედვით საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძეს, **პირველ ადგილზეა იმერეთი – 7 271.9 კილომეტრით, შემდეგ მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთი – 6 932.5 კილომეტრით. დანარჩენი რეგიონები კი ასე ნაწილდება: აჭარა – 5,053.6 კილომეტრი; კახეთი – 4,558.6 კილომეტრი; გურია – 3,884.9 კილომეტრი; ქვემო ქართლი – 3,510.7 კილომეტრი; სამცხე-ჯავახეთი – 2,830.2 კილომეტრი; მცხეთა-მთიანეთი – 2,163.2 კილომეტრი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 2,119.9 კილომეტრი; შიდა ქართლი – 2,090.2 კილომეტრი; აფხაზეთი – 605.6 კილომეტრი; თბილისი – 52 კილომეტრი.**

აბასთუმანს პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობები ამშვენებს

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ შალვა გედოიძემ და მოადგილემ გიორგი გუთხუზმა, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან გიორგი გუხრაშვილთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან თემურ მღებრიშვილთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, დაბა აბასთუმანში პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობები დაათვალიერეს და თანამშრომლებს თანამედროვე სტანდარტების შენობებში საქმიანობის გაგრძელება მიულოცეს, – ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, აბასთუმანში პოლიციის შენობა ამ დრომდე, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, ხოლო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ძველ შენობაში იყო განთავსებული. პოლიციის განყოფილებაში დასაქმებული სამართალდამცველები ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანს, 12 სოფელსა და 4000 მდე მოქალაქეს მოემსახურებიან.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამსართულიანი შენობა სრულად აკმაყოფილებს რეგიონის მოთხოვნილებებს, რომელიც გათვლილია 35-40 თანამშრომელზე, სადაც პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

ახლად აშენებული თანამედროვე სტანდარტების შენობები უახლესი ინვენტარით არის აღჭურვილი. პოლიციის შენობაში განთავსებულია ნივთმტკიცებების, საიარაღო და ამოცნობის ოთახები. ახალ შენობებში თანამშრომლებისთვის მოწყობილია სამუშაო, სასწავლო და საძინებელი ოთახები, ასევე – სპორტული დარბაზი და სამზარეულო.

2022 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 72 მილიარდ ლარს გადააჭარბა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დაზუსტებული მონაცემებით, 2022 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 72 265.7 მლნ. ლარს გაუტოლდა, რაც 20.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საქსტატის ანგარიშის მიხედვით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 2022 წელს, წინა წელთან შედარებით 10.4 პროცენტი შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის პროცენტული ცვლილება 2022 წელს 9.1 პროცენტით განისაზღვრა.

უწყების ცნობით, მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი და დამამუშავებელი მრეწველობა. შემდგომ პოზიციებს იკავებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, მშენებლობა, სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება, ინფორმაცია და კომუნიკაცია, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები და განათლება.

ამასთან, როგორც **საქსტატის ანგარიშში წერია, 2022 წელს წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ისეთმა დარგებმა როგორიცაა ინფორმაცია და კომუნიკაცია – 59.1-პროცენტიანი წილით, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი – 10.8 პროცენტი; ტრანსპორტი და დასაწყობება – 24.7 პროცენტი; მშენებლობა – 16.5 პროცენტი; დამამუშავებელი მრეწველობა – 10.5 პროცენტი; ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება – 29.3 პროცენტი; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები – 14.6 პროცენტი. კლება კი აღინიშნა შემდეგ დარგებში: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (-16.3 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (-3.7 პროცენტი).**

ფოთი რუმინეთის ქალაქ კონსტანცას დაუმეგობრდა

ფოთს ახალი დამეგობრებული ქალაქი ჰყავს – ფოთსა და კონსტანცას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი ქალაქის მერმა გექა ვაჭარაძემ მოაწერა.

გექა ვაჭარაძემ კონსტანცას მერის ვირჯილ ჩიტაკის მიწვევით საერთაშორისო ღონისძიებაში – „ევროპული/ევროატლანტიკური გზა: გამოწვევები, შესაძლებლობები და საუკეთესო პრაქტიკა“ მიიღო მონაწილეობა და ქალაქ კონსტანცას ესტუმრა.

„აღსანიშნავია, რომ ვგეგმავთ თანამშრომლობას ფოთის საზღვაო სასწავლო ცენტრსა და კონსტანცას ცნობილ საზღვაო უნივერსიტეტებს შორის. ჩვენს ქალაქებს შორის ხორციელდება საბორნე მიმოსვლა, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია როგორც ქალაქის, ასევე ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისთვის, რადგან ეს ხაზი უმოკლესი გზაა კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების ევროპასთან დასაკავშირებლად. ჩვენ გავაგრძელებთ მეგობრული ურთიერთობის განვითარებას და საერთო ინტერესის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას“, – განაცხადა ფოთის მერმა.

აფხაზეთის მე-6 საჯარო სკოლაში ახალი სპორტული მოედანი გაიხსნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ქუთაისში, ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლაში სპორტული მოედანი გაიხსნა.

ღონისძიებაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე და აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი დავით ფაცაცია იმყოფებოდნენ, რომლებმაც ახალი სპორტული მოედანი გახსნეს. რუსლან აბაშიძემ ასევე სკოლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერა, პირადად გაეცნო არსებულ მდგომარეობას და დირექტორისგან სკოლის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მიიღო.

აფხაზეთის №6 საჯარო სკოლაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარე სპორტული მოედანი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მომსახურების სააგენტომ, სლოვაკეთის საელჩოსთან თანამშრომლობით, საელჩოსგან მოპოვებული გრანტის ფარგლებში მოაწყო.

2 კილოგრამამდე ოქრო შემოჰქონდათ!

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის რ.ჰ-ს, მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილისა და მისი ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 1657,27 გრამი არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები გამოვლინდა.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამრღვევ მოქალაქეს მცირე ზომის 6 შეფუთვაში მოთავსებული ოქროს ნაკეთობები ტანსაცმელში მალულად ჰქონდა განთავსებული. ექსპერტიზის შედეგად, დადგინდა რომ სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 163 108,47 შეადგინა.

ᲐᲥᲝᲜᲓᲠᲝᲞᲚᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲘ „ᲕᲝᲡᲝᲠᲘᲢᲘᲓᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲐ!

ᲐᲥᲝᲜᲓᲠᲝᲞᲚᲐᲖᲘᲘᲡ სამკურნალო მედიკამენტი „ვოსორიტიდი“ საქართველოში შემოვიდა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში დაგვიდასტურეს.

მშობლების ინფორმაციით, კრიტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე მედიკამენტს აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ოთხი ბავშვი მიიღებს. წამალს ეტაპობრივად მიიღებენ დანარჩენი ბავშვებიც.

„ძალიან გახარებული ვართ. ამდენი წლის ოცნება ასრულდა, მრძოლამ შედეგი გამოიღო. ხვალ ჩემი შვილი პირველი ბავშვი იქნება საქართველოში, ვინც ამ მედიკამენტს გაიკეთებს, შემდეგ – დანარჩენი სამი ბავშვი. ხვალ სულ მკურნალობას დაიწყებს ოთხი ბავშვი. 2024 წელს მედიკამენტს მიიღებს ყველა ბავშვი, ვისაც ასაკობრივად ეკუთვნის და ვისაც ესაჭიროება“, – განაცხადა მშობელმა ქეთი გეგიაშვილმა.

როგორც მშობლები აცხადებენ, თავიდან მედიკამენტის გამოყენება მოხდება მრავალპროფილურ, პედიატრიულ სტაციონარულ დაწესებულებაში და ამისთვის შერჩეულია იაშვილის სახელობის კლინიკა. პროცესს კლინიცისტების მულტიდისციპლინური გუნდი წარმართავს. მშობლების ცნობით, როგორც მსოფლიოშია აპრობირებული, ერთი თვის შემდეგ მედიკამენტს ბინაზე შვილებს თავად გაუკეთებენ.

„ნებისმიერ მედიკამენტს შეიძლება ჰქონდეს გვერდით მოვლენა, ამისთვის მზად ვართ. ჩართულია იაშვილის ექიმების ჯგუფი. ჩვენ ყოველდღიური საუბარი გვაქვს. გუშინ გვქონდა ონლაინ-ჩართვა, რა დროსაც ექიმებმა გვითხრეს, რომ რისკჯგუფები გათვალისწინებულია, მომზადებულია ყველა ექიმი, ექთანი“, – განაცხადა ქეთი გეგიაშვილმა.

სახელმწიფოს მიერ მედიკამენტ „ვოსორიტიდის“ შესყიდვას აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვთა მშობლების რამდენიმეთვიანი საპროტესტო აქციები უძღოდა წინ. პროტესტის კვალდაკვალ სახელმწიფომ გაატარა არაერთი ცვლილება – აქონდროპლაზია შეიტანა იშვიათი დაავადებების სიაში, ხოლო პაციენტებს შშმ პირის სტატუსი განუსაზღვრა. ამის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ აქონდროპლაზიის დაავადების მართვის ეროვნული პროტოკოლი შეიმუშავა და მართვის ერთ-ერთ საშუალებად მედიკამენტი „ვოსორიტიდი“ გაწერა. ზუსტად უცნობია, რა თანხებთან არის დაკავშირებული აქონდროპლაზიის მართვა, თუმცა ცნობილია, ზოგადად, იშვიათი დაავადებების სამკურნალოდ განსაზღვრული წლიური მიუჯეტი და ის 34 მილიონი ლარია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
Ა.ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ №116 (ᲓᲘᲓᲣᲑᲔ ᲞᲚᲐᲖᲐ)

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲫᲘᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢ-ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲜᲐᲘᲠᲐ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,
ᲛᲐᲘᲐ ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ
ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲒᲕᲘᲚᲘᲐ

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ
GE90BG0000000538329790

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ:
ᲨᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 36-00-35

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ „ᲒᲐᲜᲓᲐᲒᲐᲜᲐᲡ“ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ

25-26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ სოფლის ტურიზმის ფესტივალ „განდაგანას“ უმასპინძლებს. ორი დღის განმავლობაში, საშემოდგომო დეკორაციებით გაფორმებულ ევროპის მოედანზე მთიანი აჭარა თავისი კულტურით, კულინარიით, ტრადიციებითა და რეწვის დარგებით იქნება წარმოდგენილი.

წელს, ფესტივალ „განდაგანას“ ფარგლებში მთავარი აქცენტი აჭარული სამზარეულოსა და ხალხური რეწვის დარგების წარმოჩენაზე გაკეთდება. მოეწყობა სპეციალური კვების კუთხე, სადაც აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელ კერძებს მოამზადებენ, ჩატარდება მასტერკლასები და კულინარიული შეჯიბრებები.

„ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲗ“ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

რუსთაველის თეატრში აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტი გაიმართა. ანსამბლი „აფხაზეთი“ მაყურებლის წინაშე კონცეპტუალურ-ფოლკლორული პროგრამა „ქორონიკონის“ განახლებული საკონცერტო ნომრებით წარდგა.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე კობა ხუბუნაია, აფხაზეთის მთავრობის წევრები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ



საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გამოცემის „Forbes USA“ ჟურნალისტს რაჰიმ რაგიმოვს მასპინძლობს. პრესტურის ფარგლებში გამოცემის წარმომადგენელი საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ვრცელ სტატიას „Artisanal Heritage of Georgia“ ამზადებს.

ტურის ფარგლებში „Forbes“-ის ჟურნალისტმა თბილისის ისტორიული უბნები, ქუთაისი, საჩხერე, ხარაგაული, ბაღდათი მოინახულა, გაეცნო ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს. იმერეთში მოგზაურობის შემდეგ რაჰიმ რაგიმოვი აჭარას ეწვია, სადაც ბათუმი, გონიო, აჭარისწყალი და დანდალო მოინახულა.



ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲨᲘ

გურჯაანი 5 თაობის მოქანდაკის გამოფენას მასპინძლობს. ექსპოზიცია ათამდე ნამუშევარს აერთიანებს.

დამთვალიერებლებს საშუალება აქვთ, ადგილზე ნახონ ხელოვანების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა თემატიკის ქანდაკება, მათ შორის ქართული ღვინის, ასევე, ბერძნული და რომაული მითოლოგიის ღმერთების.

„ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ“ – ᲔᲕᲠᲝᲕᲘᲖᲘᲐ 2024-ᲘᲡ ᲡᲚᲝ�გᲐᲜᲘ

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ სლოგანი 2023 წლის ევროვიზიის სლოგანიც იყო, რომელიც სამომავლოდ ევროვიზიის ბრენდ-სტრატეგიის ნაწილად იქცევა.

სიმღერის რიგით 68-ე კონკურსი შვედეთის ქალაქ მალმეში გაიმართება, რომელიც მესამედ მასპინძლობს ევროვიზიას. შვედეთმა მასპინძლობის უფლება ევროვიზია 2023-ზე გამარჯვებით მოიპოვა, რომელსაც მომღერალი Loreen-ი სიმღერით Tatto წარადგენდა. ამით შვედეთი გამარჯვებების რაოდენობით ევროვიზიის რეკორდსმენი გახდა.

მალმემ ბოლოს ევროვიზიას 2013 წელს უმასპინძლა, პირველად კი – 1992 წელს. ევროვიზია 2024 „მალმე არენაზე“ 9, 11 და 13 მაისს გაიმართება და, ბოლო მონაცემებით, ჯამში, 35 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7008; ᲔᲕᲠᲝ - 2.9314;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3649;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 2.9581; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.0942;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5871;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.7242

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+5,	ᲓᲦᲔ	+22
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲭᲘᲡᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+15
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲭᲘᲡᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+15
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+18

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge